ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

მარიამ გოგენია

ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში ტურისტული ნაკადების სტატისტიკური კვლევა

სამაგისტრო პროგრამა: ეკონომიკა

ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნინო აბესაძე

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

ანოტაცია

ტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორია საქართველოში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკის განვითარებისათვის, ამიტომ საქართველოში ტურიზმის განვითარება ერთ-ერთ პრიორიტეტული საკითხია.

მოცემული სამაგისტრო ნაშრომის მიზანია საქართველოსა და ევროკავშირს შორის ტურისტული ნაკადების სტატისტიკური ანალიზი და ძირითადი კანონზომიერებების გამოვლენა. ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოში ტურიზმის განვითარების ძირითადი ტენდენციები და განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული და ეროკავშირში საქართველოს რეზიდენტების ტურისტული ნაკადების სტატისტიკურ ანალიზზე. ევროკავშირის ქვეყნებში გამყვანი ტურიზმის ძირითადი ტენდენციების ანალიზი განხორციელდა ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის ძირითადი შედეგების მიხედვით.

საბოლოოდ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებისა და გამყვანი ტურიზმის კვლევის შედეგების გაანალიზების საფუძველზე ნაშრომში გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები, გამოკვეთილია ტურიზმის განვითარების ძირითად პრობლემები საქართველოში, შემოთავაზებულია მათი გადაჭრის გზები და შემუშავებულია ტურიზმის განვითარების ძირითადი რეკომენდაციები.

Mariam gogenia

Statistical study of tourist flows from EU countries in Georgia

Annotation

Tourism is one of the fastest growing sectors in Georgia, which is very important for the development of economy, so tourism development is one of the main priorities in Georgia.

The goal of this master's thesis is to analyze tourism flows between Georgia and the European Union and identify the major regularities. In this article reflects the general issues of tourism and, in particular, the EU's tourism flow statistics, and the impact of visa liberalization on tourism.

The article analyzes the main trends of tourism development in Georgia and focuses on the statistical analysis of tourism flows of Georgian residents coming from EU countries and into the EU. The main trends of outbound tourism in EU countries were analyzed based on the main findings of our survey.

Finally, the analysis of the data from the National Statistics Office, the National Tourism Administration and the results of the Outbound Tourism Survey makes relevant conclusions, outlines key tourism development problems in Georgia and recommendations is also offered for tourism development.

სარჩევი

შესავალი 5

თავი I. ტურიზმის სტატისტიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები 7

1.1 ტურიზმის თავისებურებები და მისი სტატისტიკური შესწავლის მიზნები და ამოცანები 7

1.2 ტურიზმის სტატისტიკური კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგია 13

1.3 ტურიზმის სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა 23

თავი II. ტურიზმის ძირითადი ტენდენციები და პრობლემები საქართველოში 28

2.1 ტურიზმის ძირითადი ტენდენციები საქართველოში 28

2.2 ტურიზმის სტატისტიკაში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები 39

თავი III. ევროკავშირის ქვეყნებთან საერთაშორისო ტურიზმის ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი 45

3.1 საქართველოსა და ევროკავშირს შორის ტურიზმი-ვიზის ლიბერალიზაციის გავლენა ქვეყნის ტურიზმზე 45

3.2 ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული ნაკადების სტატისტიკური კვლევა 50

3.3 ევროკავშირის ქვეყნებში გასული ტურისტული ნაკადების სტატისტიკური კვლევა. 59

დასკვნა 74

გამოყენებული ლიტერატურა 77

დანართი 79

შესავალი

ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ტურიზმი საქართველოსთვის განვითარებისა და ეკონომიკური დოვლათის ზრდის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. ამიტომაც, მისი განვითარება-სრულყოფა საქართველოსათვის ფაქტიურად ეკონომიკური განვითარებისა და შესაბამისად მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპების მიღწევის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა გამოწვევები ამ მხრივ დაძლეულია. გამოწვევები ტურიზმის სფეროს წინაშე ნამდვილად არის, რომელთა მოგვარება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური პოლიტიკა კი მოითხოვს ადეკვატური შეფასებების საფუძველზე სწორი რეკომენდაციების პაკეტის შემუშავებას, რაც შესაბამისი ინფორმაციული ბაზის საფუძველზე უნდა განხორციელდეს. ტურიზმის სტატისტიკის მონაცემთა ბაზა კი საქართველოში სულ უფრო სრულყოფილი ხდება, რაც განაპირობებს მსოფლიოში მიმდინარე ტურისტული მოვლენების განვითარების ფონზე ქვეყანაში ტურიზმის პროცესების სტატისტიკური ანალიზს, ტურიზმის რაოდენობრივი მახასიათებლების განსაზღვრას, განვითარების ტენდენციების გამოვლენასა და კანონზომიერების დადგენას, შესაბამისი არგუმენტირებული დასკვნების გაკეთებას.

ტურიზმი არის სოციალური, კულტურული და ეკონომიკური ფენომენი, რომელიც გულისხმობს ადამიანების გადაადგილებას სხვადასხვა ტერიტორიაზე საცხოვრებელი ადგილის ფარგლებს გარეთ, რისი ძირითადი მოტივაციაც სიამოვნების მიღებაა. ის გავლენას ახდენს ეკონომიკაზე, ადამიანის შექმნილ და ბუნებრივ გარემოზე, ვიზიტის დროს მონახულებულ ადგილებზე მცხოვრებ მოსახლეობაზე და თვით ვიზიტორებზე.

ტურიზმის სტატისტიკა აუცილებელია მარკეტინგული სტრატეგიების შექმნის, ინსტიტუტებს შორის ურთიერთობების გაძლიერების, მმართველობითი გადაწყვეტილებების ეფექტიანობისა და ეფექტურობის შეფასებისა და ეროვნულ ეკონომიკაში ტურიზმის როლის გასაზომად.

სანდო და მრავალფეროვანი სტატისტიკის არსებობა აუცილებელია პოლიტიკოსებისთვის ეფექტური გადაწყვეტილებების მისაღებად. ტურიზმის სფეროში

სხვადასხვა ტიპის ანალიზის ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ საკმარისი და ადეკვატური მონაცემებით, რაც სანდო სტატისტიკის საფუძველია. ეს კი აუცილებელია ტურიზმის სხვადასხვა ასპექტების შეფასებისთვის, ასევე პოლიტიკის და გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაუმჯობესებისთვის. ტურიზმის სტანდარტული განმარტებები და საერთაშორისო მეთოდოლოგია საჭიროა იმისათვის, რომ ტურიზმის ინდუსტრიაში ჩართულ ყველა მხარეს ერთნაირად ესმოდეს ტერმინები და კონცეფციები. ეს მნიშვნელოვანია სხვადასხვა ქვეყნებისა და რეგიონების ტურიზმის დაგეგმისა და ორგანიზებისთვის.

ტურიზმის სტატისტიკა შედარებით ახალგაზრდაა სხვადასხვა დარგის სტატისტიკებთან შედარებით, ამიტომ დღესაც მიმდინარეობს მისი სრულყოფა და განვითარება მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის რეკომენდაციებისა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. განვითარებადი ქვეყნებისათვის მას დიდი სოციალური და ეკონომიკური ეფექტი აქვს, გამომდინარე იქიდან, რომ ის აერთიანებს სატრანსპორტო, მომსახურების და სოციალურ სფეროებს, რაც გამომდინარე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

მნიშვნელოვანია იმ ფაქტორებისა და პრობლემების ანალიზი, რომლების მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ტურიზმზე. დღეს, საქართველოში ტურიზმის განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორებად შეიძლება განვიხილოთ: ტურისტული ინფრასტრუქტურა; მომსახურების ხარისხი; ტურისტული პროდუქტი; ქვეყნის დაბალი ცნობადობა და არასათანადო იმიჯი; მდგრადი განვითარება და სახელმწიფოს მხარდაჭერა; კოორდინაციის ნაკლებობა. სწორედ მათ გაუმჯობესებაზეა დამოკიდებული ტურიზმის გრძელვადიანი წარმატება.

თავი I. ტურიზმის სტატისტიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები

1.1 ტურიზმის თავისებურებები და მისი სტატისტიკური შესწავლის მიზნები და ამოცანები

ტურიზმი მსოფლიოში სოციალური ინფრასტრუქტურის ისეთ დარგად იქცა, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ამა თუ იმ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს. ტურიზმის მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია დღევანდელი საქართველოს ეკონომიკის აღორძინებისა და განვითარებისათვის, რომელიც გამოირჩევა მსოფლიოში უნიკალური ტურისტული პოტენციალითა და მრავალფეროვნებით.

საქართველოს მიმართ ინტერესი უძველესი დროიდან იწყება, რასაც მოწმობს არგონავტების მოგზაურობები. საქართველოს კარგად იცნობდნენ მოგზაურები, ვაჭრები და შიკრიკები, რაც განპირობებული იყო საქართველოს მდებარეობით „დიდი აბრეშუმის გზაზე“. თუმცა საქართველოში ტურიზმის განვითარება XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე იწყება. ფაქტიურად იგი მასშტაბურ ხასიათს XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წლებიდან იღებს. ამ პერიოდში ექსპლუატაციაში შევიდა კეთილმოწყობილი ტურისტული ბაზები და სასტუმროები თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, ვარძიასა და ა.შ. დაიწყო ტურიზმის აღმშენებლობის პროცესი გაგრაში, ქობულეთში, აბასთუმანში, წყალტუბოში და სხვა.[1]

ტურიზმის სტატისტიკა შედარებით ახალგაზრდაა სხვადასხვა დარგის სტატისტიკებთან შედარებით, ამიტომ დღესაც მიმდინარეობს მისი სრულყოფა და განვითარება მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის რეკომენდაციებისა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

პირველი ნაბიჯები ტურიზმის სტატისტიკაში გადაიდგა ერთა ლიგის საბჭოს მიერ 1937 წელს, როდესაც დაფიქსირდა საერთაშორისო ტურიზმის ძირითადი ცნებები. ახალი ეტაპი საერთაშორისო ტურიზმის სტატისტიკაში კი XX საუკუნის 40-იან წლებში დაიწყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპულ ქვეყნებში მრავალი სამეურნეო პრობლემა წარმო-

[1] ნ. აბესაძე, რ. ქინქლაძე, ქ. ჩიტალაძე სტატისტიკა ტურიზმისათვის. თბ. 2018. გვ. 18

იქმნა, ეს იყო საფინანსო, ეკონომიკური თუ მართველობითი. სიტუაციის სტაბილიზაციამ მოითხოვა კოორდინირებული მოქმედებების მთელი კომპლექსი. ასეთ პირობებში მთავ-რობები, ამყარებდნენ რა ტურიზმზე დიდ იმედებს, ყურადღება მიმართეს საერთაშორისო ტურიზმზე, ამასვე უკავშირებდნენ საგადამხდელო ბალანსის აქტივიზაციას, ფინანსური წონასწორობის მიღწევას და საბოლოოდ გრძელვადიან ეკონომიკურ აღმასვლას.

ტურიზმი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკისა და ბიზნესის წარმატებული განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. ამიტომ, საზოგადოებაში ტურიზმისა და მისი მეცნიერული კვლევისადმი ინტერესი გაიზარდა. იმის გათვალისწინებით,თუ რა როლი აქვს მიკუთვნებული ტურიზმს, როგორც მსოფლიო ეკონომიკაში, ასევ ექვეყნის განვითარების ერთიან სტრატეგიაში, მითუმეტეს მიმდინარე – ეკონომიკისა და საზოგადოების კომპლექსური ტრანსფორმაციის პერიოდში, ძალზე აქტუალურია ტურიზმის განვითარების შესაძლებლობების კვლევა, კანონზომიერების გამოვლენა, განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი და საპროგნოზო მაჩვენებლების გაანგარიშება, განვითარების დაგეგმისათვის რეკომენდაციების შემუშავება.ეს კი ნიშნავს გამართულ სტატისტიკას, სრულყოფილ ინფორმაციულ ბაზას, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის ტურიზმის სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემას და მათი გაანგარიშების მეთოდოლოგიას.

ტურიზმი არის სოციალური, კულტურული და ეკონომიკური ფენომენი, რომელიც დაკავშირებულია ადამიანების გადაადგილებასთან სხვადასხვა ადგილებში თავიანთი საცხოვრებელი ადგილის ფარგლებს გარეთ, რისი ძირითადი მოტივაციაც სიამოვნების მიღებაა.[2]

ტურიზმი, როგორც ეკონომიკის დარგი, ხასიათდება ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე მკვეთრად გამოხატული ორიენტაციით, რომელიც მოიხმარს ბუნებრივ კომპლექსებს და მათ ელემენტებს. აქედან გამომდინარე, ტურიზმი ბუნებით სარგებლობის მრავალმიზნობრივი სახეობაა, რომელიც ჰარმონიულად ერწყმის ბუნებას. ბუნების დაცვის საერთაშორისო საზოგადოების განმარტებით ეკოტურიზმი ბუნებაში

[2] ნ. აბესაძე, რ. ქინქლაძე, ქ.ჩიტალაძე სტატისტიკა ტურიზმისათვის. თბ. 2018. გვ. 20-21

პასუხისმგებლობითი მოგზაურობაა, რომელიც ხელს უწყობს ბუნების დაცვას და მხარს უჭერს ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობას.

ტურისტული რეგიონი-განსაზღვრული ქვეყნების ან რაიონების ჯგუფი გეოგრაფიულად გარკვეულ რეგიონში, რომლისთვისაც დამახასიათებელია ტურისტული რესურსებისა და ტურისტების მიღების წესების მსგავსება-ერთობლიობა. საქართველოს ტურისტულ რეგიონად დაყოფა მოხდა ერთი მხრივ ქვეყნის ისტორიული პროვინციების მიხედვით და მეორე მხრივ, რეგიონის ტურისტული პოტენციალის გათვალისწინებით. საქართველო რეგიონების ტურისტული რესურსები კი განაპირობებს ქვეყანაში ტურიზმის განვითარების პრიორიტეტებს.

თანამედროვე გაგებით ტურიზმი განვითარებადი ქვეყნებისათვის ეს უფრო მეტია ვიდრე მარტო მისი სოციალური და ეკონომიკური ეფექტი. ტურიზმი აერთიანებს სატრანსპორტო, მომსახურების და სოციალურ სფეროებს, რაც თავისი შინაარსობრივი მრავალსახეობიდან გამომდინარე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

ტურისტები განსხვავდებიან თავიათი რელიგიით, ეთნიკური კუთვნილებით, წარმომავლობით, კულტურით და ა.შ. კულტურათა ურთიერთგაზიარება ხელს უწყობს ქვეყნების დაახლოებას, რაც ნებისმიერ შემთხვევაში დადებითი გარეგანი ეფექტებით ხასიათდება. სამწუხაროდ, არანაირი საერთაშორისო სტანდარტის სტატისტიკური მეთოდოლოგია არ ხსნის კულტურათა ურთიერთგაცვლის შედეგებს.

ცხადია, ტურიზმის ეკონომიკური გავლენა საქართველოს შემთხვევაში არის უმთავრესი. ეკონომიკური სექტორი, რომელიც ჩართულია ტურიზმში შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად: სატრანსპორტო, ინფრასტრუქტურული, სასტუმროს სერვისი და მომსახურება. ეს ის სფეროებია, რომელსაც გავლენა აქვს მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაზე. ქვეყანათაშორის ურთიერთობები აგებულია ურთიერთგაცვლის, ურთიერთშეთანხმებებისა და ურთიერთანამშრომლობის ჯაჭვით.

ტურიზმის, როგორც ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთი სპეციფიკური დარგის განვითარება მოითხოვს სწორი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემუშავებას. მისი სპეციფი-

კურობა გამოიხატება იმაში, რომ თვით ქვეყნის ეკონომიკა და ტურიზმი მჭიდროდ ურთიერთმოქმედებენ ერთმანეთზე. მათ შორის პირდაპირი კავშირი ვლინდება, კერძოდ, ქვეყნის მაღალი ეკონომიკური პოტენციალისა და სტაბილურობის ზრდა ტურისტული ბიზნესის სწრაფი განვითარების საწინდარია, და პირიქით. ასევე, ტურიზმის განვითარება თვით ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს კიდევ უფრო ამყარებს და აძლიერებს.

განვიხილოთ ეს ლოგიკური კავშირი, ტურისტების რაოდენობის ზრდას მოაქვს დამატებითი შემოსავალი ქვეყნისათვის უცხოური ვალუტის სახით, იზრდება დასაქმებულთა რიცხვი, უმჯობესდება ინფრასტრუქტურა და სატრანსპორტო საშუალებები, იხვეწება მომსახურეობის ხარისხი, ვითარდება ახალი ბიზნესის შესაძლებლობები და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იქმნება რეგიონების განვითარების უნიკალური შესაძლებლობა.

უნდა ითქვას,რომ ტურიზმის განვითარება მეტად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ქვეყნისთვის, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა მდიდარია ბუნებრივი რესურსებითა და მნიშვნელოვანი, საინტერესო კულტურული მემკვიდრეობით. ამ მხრივ საქართველო ყოველთვის იყო ტურისტთა ყურადღების ცენტრში და დღესდღეობითაც ჩვენს ქვეყანას მრავალი უცხოელი სტუმრობს. თუმცა გარკვეული პრობლემები არსებობს, რაც ხელს უშლის ტურიზმის განვითარებას, მადალითად, საქართველოში არსებული ვალუტის არასტაბილურობა გარკვეულ საფრთხეს ქმნის ტურისტული პოტენციალის განვითარების საქმეში. ვინაიდან მომსახურების ფასების გაზრდა, პირდაპირ გავლენას ახდენს ტურისტების რაოდენობაზე და შესაბამისად, პოტენციური დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებობაზე. ასევე შეგვიძლია აღვნიშნოთ დაბალბიუჯეტური სასტუმროების სიმცირე, რათა გათვალისწინებული იქნეს თითოეული ტურისტის შესაძლებლობები და ინტერესები. შეგვიძლია აღვნიშნოთ სხვა ხელისშემშლელი ფაქტორები, როგორიცაა, ღირსეშანიშნაობამდე მისასვლელი გზის მოუწესრიგებლობა, ტრანსპორტის სიმცირე და ა.შ. მოცემული პრობლემების მოგვარება აუცილებელია, რადგან ტურიზმის აღმავლობა ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

ტურიზმის სტატისტიკის, როგორც მეცნიერების წინაშე დგას როგორც ზოგადი, ისე სპეციფიკური ხასიათის ამოცანები, რაც ტურიზმის, როგორც დარგის პრიორიტეტული განვითარებითა და არაადექვატური, არასრულყოფილი სტატისტიკის არსებობითაა განპირობებული.

ზოგადი ხასიათის ამოცანებს მიეკუთვნება:

1. ტურიზმის სფეროში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივი პარამეტრების დადგენა;
2. ტურიზმის სფეროში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების სტრუქტურის შესწავლა;
3. ტურიზმის სფეროში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების დახასიათება დინამიკაში;
4. ტურიზმის სფეროში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ურთიერთკავშირის შესწავლა;
5. მსოფლიო ტურისზმის ორგანიზაციის რეკომენდაციების დანერგვა;
6. სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპების (ნაერთი ინფორმაციის ობიექტურობის, აქტუალობის, გამჭვირვალობის, პირველადი მონაცემების კონფიდენციალობის უზრუნველყოფის) დაცვა.[3]

გაეროს მიერ დამტკიცებული სტატისტიკის 10 ფუნდამენტური პრინციპი და ევროპელ სტატისტიკოსთა ნორმების კოდექსი წარმოადგენს ოფიციალური სტატისტიკის ორგანიზების უნივერსალურ წესებს, რომელთა დაცვა დააჩქარებს სტატისტიკის განვითარებას და მის ჰარმონიზებას როგორც ქვეყნის, ისე მსოფლიო მასშტაბით.

კერძო სპეციფიკური ნიშნების გათვალისწინებით კი ტურიზმის სტატისტიკის ამოცანებს წარმოადგენს:

1. ტურიზმის სფეროში ახალი საერთაშორისო სტანდარტებს დაქვემდებარებული საკლასიფიკაციო სისტემის შემოღება-დამუშავება;

[3] ნ. აბესაძე, რ. ქინქლაძე, ქ.ჩიტალაძე სტატისტიკა ტურიზმისათვის. თბ. 2018. გვ. 33-35

2. ტურიზმის სფეროს ძირითადი ობიექტების: სასტუმროების, ტურისტული ბიუროების, დასასვენებელი სახლების, კურორტებისა და სხვა ტიპის ობიექტების სუბრეგისტრის შექმნა.
3. ტურიზმის ძირითადი ობიექტების (სასტუმროები, ტურისტული ბიუროები, კემპინგები, დასასვენებელი სახლები) სტატისტიკურად დახასიათებისათვის საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების მსგავსი სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემის დანერგვის დასრულება როგორც მოკლევადიანი, ისე წლიური პერიოდულობის ანგარიშებისათვის;
4. სასტუმროებისა და ტურისტული ბიუროების საცდელი სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარება მათში მცხოვრები ტურისტების გამოკითხვის გზით, მათი საქართველოში ყოფნის დროის, მიზეზებისა და წარმომავალი ქვეყნების დადგენის მიზნით;
5. ქვეყანაში შემოსული და ქვეყნიდან გასული ტურისტების აეროპორტებში და სხვა გამშვებ პუნქტებში საცდელი სტატისტიკური გამოკვლევების რეგულარულად ჩატარება საქართველოში გაწეული ფინანსური ხარჯების შესაფასებლად საგადამხდელო ბალანსის შედგენის სრულყოფის მიზნით;
6. შიდა ტურიზმის შეფასებისათვის სპეციალურად ორგანიზებული შერჩევითი სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარება ზღვისპირა და მთის რეგიონებში;
7. ტურიზმის სფეროში მწარმოებელთა ფასების დანერგვა დინამიკაში მოვლენებისა და პროცესების შეფასების მიზნით;
8. ტურიზმის ხვედრითი წილის დადგენა ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში და საბიუჯეტო შემოსავლებში.[4]

[4] დ. კბილაძე, ნ. აბესაძე. სტატისტიკური აღრიცხვის პრობლემები საქართველოს ტურიზმში. საერთაშორისო კონფერენციის შრომების კრებული. გორი-2009

1.2 ტურიზმის სტატისტიკური კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგია

ტურიზმის სტანდარტული განმარტებები და საერთაშორისო მეთოდოლოგია საჭიროა იმისათვის, რომ ტურიზმის ინდუსტრიაში ჩართულ ყველა მხარეს ერთნაირად ესმოდეს ტერმინები და კონცეფციები. ეს მნიშვნელოვანია სხვადასხვა ქვეყნებისა და რეგიონების ტურიზმის დაგეგმისა და ორგანიზებისთვის. XX საუკუნის პირველ ნახევარში ბევრ ქვეყანაში ტურისტული ნაკადები ან საერთოდ არ აღირიცხებოდა, ან თუ აღირიცხებოდა აღრიცხვის მეთოდები იყო იმდენად განსხვავებული, რომ შეუძლებელს ხდიდა ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასულ ვიზიტორთა რაოდენობის დათვლას. სტანდარტული საერთაშორისო განმარტებები საშუალებას აძლევს მკვლევარებს გააკეთონ მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნები ტურიზმის ინდუსტრიის შესახებ.

გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ (UNWTO) 1991 წელს კანადის ქალაქ ოტავაში რამდენიმე რეკომენდაცია და განმარტება ჩამოაყალიბა ტურიზმის, მოგზაურებისა და ტურისტების შესახებ.

განვიხილოთ, მაგალითად, შემდეგი განმარტება: "ტურიზმი მოიცავს პიროვნებების მოგზაურობას და გასვლას ჩვეული გარემოდან არაუმეტეს ერთი წლის ვადით, დასვენების, ბიზნების და სხვა მიზნებისათვის".

ეს გულისხმობს იმას, რომ "ჩვეული გარემო" გამორიცხავს მოგზაურობას საცხოვრებელი ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხშირი და რეგულარულ მგზავრობას საცხოვრებელი ადგილიდან სამუშაო ადგილამდე, რომელიც შეიძლება ქვეყნის საზღვრის გადაკვეთაც და სხვა რუტინული ხასიათის მგზავრობა.

ჩვეულებრივი გარემოს კონცეფციის შემოღების მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ გამოყოფილ იქნეს ტურისტების ჩვეული სამყოფელი იმ სამყოფელისაგან, სადაც ისინი რეგულარულად მოძრაობენ: მაგალითად, თავიანთ ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილსა და სამუშაოს ან კვლევის ადგილს შორის. ან ისეთი ადგილები, რომელთაც ხშირად სტუმრობენ: მაგალითად, მეგობრების ან ნათესავების სახლები, სავაჭრო ცენტრები და ა.შ.

ტურიზმის ზემოთ აღნიშნული განმარტება აფართოებს ტურიზმის, როგორც მხოლოდ დასვენების მიზნით მოგზაურობის კონცეფციას. ის წარმოადგენს აგრეთვე

მოგზაურობას ბიზნესის, მეგობრების მონახულების, პირადი საჭიროების ან ჯამრთელობის მდგომარეობის გამო. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყველა მოგზაურობა არ მიეკუთვნება ტურიზმს. მაგალითად, სამუშაოზე, სასწავლებლად წასვლა-მოსვლა, მიგრანტების გადაადგილება, დიპლომატებისა და შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა გადაადგილება და სხვ.

ტურიზმთან დაკავშირებული აქტივობების ორაზროვნების გარეშე დასადგენად, საჭიროა გამოყენებული ტერმინოლოგიის ზუსტი განსაზღვრება. მაგალითად, მნიშვნელოვანია ეკონომიკური ტერიტორიის განსაზღვრება. მოცემული ტერმინი არის გეოგრაფიული მოცემულობა და მიუთითებს იმ ქვეყანაზე, რომლისთვისაც გაკეთდა გაზომვა (მოცემული ქვეყანა). ეკონომიკური ტერიტორია შეიძლება იყოს ნებისმიერი გეოგრაფიული ადგილი, რომლისთვისაც საჭიროა სტატისტიკის წარმოება.

ეროვნება და მოქალაქეობა:

ვიზიტორის მოქალაქეობა შეიძლება განსხვავდებოდეს მისი ეროვნებისაგან. მოგზაური, როგორც წესი, იმ ქვეყნის მოქალაქეა, რომელიც გასცემს მის პასპორტს ან სხვა საიდენტიფიკაციო დოკუმენტს, თუნდაც ის სხვა ქვეყანაში ცხოვრობდეს. მოგზაურს შეიძლება ჰქონდეს ერთზე მეტი პასპორტი და შესაბამისად ერთზე მეტი მოქალაქეობა. სტატისტიკურ ოპერაციებში აღრიცხვისას გაითვალისწინება ვიზიტორის ის მოქალაქეობა, რომელიც მითითებულია პასპორტში.

ვიზიტორების მიერ განხორციელებული მგზავრობები არის ტურისტული მგზავრობები შიდა ან გამყვანი ტურისტული მგზავრობა ეწოდება ვიზიტორის მოგზაურობას თავისი ჩვეული საცხოვრებელი ადგილის დატოვებიდან უკან დაბრუნებამდე. შემომყვანი ტურისტული მგზავრობა არის ვიზიტორის მოგზაურობას ქვეყანაში შემოსვლიდან მის დატოვებამდე. ტურისტულ მგზავრობას ახასიათებს ძირითადი დანიშნულების ადგილი.

ტურისტული მგზავრობის ძირითადი დანიშნულების ადგილი არის ის ადგილი, სადაც ის ყველაზე დიდ დროს გაატარებს მგზავრობის დროს. და თუკი ასეთი ადგილის იდენტიფიცირებას ვერ შეძლებს ვიზიტორი, ძირითადი დანიშნულების ადგილი იქნება ის

ადგილი, რომელიც ყველაზე შორს მდებარეობს მისი ჩვეული რეზიდენტობის ადგილიდან.

მგზავრობა არის შიდა, თუ ძირითადი დანიშნულების ადგილი მდებარეობს ვიზიტორის მუდმივი რეზიდენტობის ქვეყანაში. შემომყვანი ან გამყვანი მგზავრობის შემთხვევაში ძირითადი დანიშნულების ადგილი ვიზიტორის რეზიდენტობის ქვეყნის გარეთ იმყოფება. გამყვანი ტურისტული მგზავრობა შეიძლება მოიცავდეს ისეთი ადგილების მონახულებას, რომლებიც რეზიდენტობის ქვეყანაში იმყოფება, ისევე როგორც შიდა მგზავრობა შეიძლება მოიცავდეს რეზიდენტობის ქვეყნის გარეთ ვიზიტებს. შემომყვანი მგზავრობა, მოიცავს მხოლოდ მითითებული ქვეყნის ფარგლებში ვიზიტებს.

ტერმინი ტურისტული ვიზიტი ნიშნავს იმ ადგილას გაჩერებას, რომლის მონახულებაც ტურისტული მოგზაურობის დროს მოხდა. არ არის აუცილებელი გაჩერება მოიცავდეს ღამისთევას იმისათვის, რომ განისაზღვროს როგორც ტურისტული ვიზიტი.

მიუხედავად ამისა, გაჩერება გულისხმობს მგზავრობის დროებით შეწყვეტას. გეოგრაფიული არეალში შესვლა გაჩერების გარეშე არ ნიშნავს ამ ტერიტორიაზე ვიზიტის განხორციელებას. რეკომენდირებულია, რომ ქვეყნებმა განსაზღვრონ მგზავრობის გაჩერების მინიმალური ხანგძლივობა, რათა მგზავრობა განისაზღვროს როგორც ვიზიტი.

ტურისტული მგზავრობების და ვიზიტების მონიტორინგი არ არის იგივე რაც ტურისტების მონიტორინგი, რადგანაც ინდივიდმა შეიძლება განახორციელოს ერთზე მეტი მგზავრობა ან ვიზიტი მონიტორინგის პერიოდში. ტურიზმის სამი ფორმის სტატისტიკურ მონაცემებში, ტერმინი ვიზიტორი ხშირად იხმარება ტურისტული ვიზიტის ან ტურისტული მგზავრობის ნაცვლად. რეკომენდირებულია, რომ ქვეყნებმა მკაფიოდ განსაზღვრონ კონცეფციები და განასხვავონ სტატისტიკურ ოპერაციებში და ინფორმაციის პრეზენტაციის დროს.[5]

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ტურიზმის სფეროს შეფასების ბაზად მიჩნეულია: მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის საერთაშორისო რეკომენდაციები "International Recommendations for Tourism Statistics (IRTS) 2008" (UNWTO 2010) და

[5] International Recommendations for Tourism Statistics (IRTS) 2008, გვ. 27-28

მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო ტურიზმის სტატისტიკისთვის, ევროსტატი, 2014, ვერსია 3.1 (Methodological Manual For Tourism Statistics, version 3.1).

მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმის ეროვნული სტატისტიკის განვითარება არათანაბარია და რესურსები (როგორც ადამიანური, ისე ფინანსური) განსხვავებულია ქვეყნებს შორის, აუცილებელია საერთაშორისო მასშტაბით შედარებითობის გაძლიერება. შედეგად, ქვეყნებს რეკომენდაცია ეძლევათ, რომ შეაგროვონ მოთხოვნასა და მიწოდების შესახებ ტურისტული სტატისტიკა, რომელიც შესაბამისობაში იქნება 2008 წლის საერთაშორისო რეკომენდაციებთან, იმისთვის რომ უზრუნველყონ გაუმჯობესებული საინფორმაციო ეროვნული ბაზის შექმნა ტურიზმისა და მისი ეკონომიკური წვლილის ანალიზისათვის.

2008 წლის საერთაშორისო რეკომენდაციებში წარმოდგენილი კონცეფციები, კლასიფიკაციები და ინდიკატორები უნდა იყოს აღქმული, როგორც ტურიზმის სტატისტიკის სისტემის მნიშვნელოვანი საფუძველი. ისინი გამოყენებულ უნდა იქნან, როგორც ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის კოორდინაციის, შეთანხმებისა და ინტერპრეტაციის დროს დამოწმებული წყარო. თუმცა ეს ინფორმაცია შეიძლება სცდებოდეს ამ რეკომენდაციების გავრცელების ჯერ კიდევ შეზღუდულ არეალს.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ტურიზმის სფეროს შეფასების ბაზად მიჩნეულია: მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის საერთაშორისო რეკომენდაციები "International Recommendations for Tourism Statistics (IRTS) 2008" (UNWTO 2010) და საერთაშორისო ორგანიზაციების საერთო პუბლიკაცია ტურიზმის სატელიტურ ანგარიშებზე.(2008 Tourism Satellite Account: Recommended Methodological Framework"(UNSD/Eurostat/OECD/UNWTO 2008).[6]

საერთაშორისო მეთოდოლოგიის მიხედვით ტურიზმის კომპლექსური და მრავალმხრივი რაოდენობის დახასიათებისათვის გამოიყენება სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა. იგი მოიცავს ურთიერთდაკავშირებულ მაჩვენებლებს, რომლებიც ახასიათებს ტურიზმს მთლიანობაში. გერმანული მოდელის მიხედვით სისტემის

[6] Claude Kasper Management in Tourismus. 2 Auflage.Bern, Stuttgart, Wien, Haupt 1995.Seite 95,111, 204

სტრუქტურა განისაზღვრება დასმული სტატისტიკური ამოცანით, რომლის ქვეშაც იგულისხმება ტურისტული რესურსების მდგომარეობის შეფასების სტატისტიკური ანალიზი, ტურიზმის ინდუსტრიის საქმიანობა და ტურიზმის ზეგავლენის შეფასება ეკონომიკაზე. შესაბამისად, ტურიზმის სტატისტიკის სისტემა ეყრდნობა მაჩვენებელთა 2 ძირითად ჯგუფს-ტურისტული ბაზრის მონიტორინგი და ტურიზმის ეკონომიკური როლის შეფასება. ტურისტული ბაზრის მონიტორინგის მაჩვენებლებს მიეკუთვნება ჩამოსული, გასული და შიდა ტურისტული ნაკადების ტურისტული ხარჯები, ფასიანი მომსახურების მოცულობა, ასევე სხვა სახის მაჩვენებლები-დასაქმება, საშუალო შრომის ანაზღაურება ტურინდუსტრიის სვადასხვა სექტორში და ტურიზმის სფეროში ინვესტიციების მოცულობა. ტურიზმის ეკონომიკური როლის შეფასება მდგომარეობს მისი მულტიპლიკატიური ეფექტის შეფასებაში მთლიანი შიდა პროდუქტის წილის, დასაქმების, ინვესტიციების და სხვა გზით.

ტურიზმის სტატისტიკური მაჩვენებლები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ ძირითად მოთხოვნებს: აღწერონ და ანალიზი ჩაუტარონ თანამედროვე-ეკონომიკური პროცესების განვითარებას; უნდა მიესადაგებოდნენ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ეასის 2008 წლის ვერსიას და მხედველობაში მიიღონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროკავშირის სტატისტიკური სამსახურის და ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციები ტურიზმის სფეროში. ტურიზმის კომპლექსური და მრავალმხრივი რაოდენობის დახასიათებისთვის გამოიყენება სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა. იგი მოიცავს ურთიერთდაკავშირებულ და ურთიერთდამოკიდებულ მაჩვენებლებს, რომლებიც ახასიათებს ტურიზმს მთლიანობაში. სისტემის სტრუქტურა განისაზღვრება დასმული სტატისტიკური ამოცანით, რომლის ქვეშაც იგულისხმება ტურისტული რესურსების მდგომარეობის შეფასების სტატისტიკური ანალიზი, ტურიზმის ინდუსტრიის საქმიანობა და ტურიზმის ზეგავლენის შეფასება ეკონომიკაზე.

ტურიზმის განმარტებიდან გამომდინარე, გამოიყოფა ტურიზმის ძირითადი ფორმები, რომლებიც შესაბამისად ტურიზმის სტატისტიკის ობიექტს წარმოადგენენ:

(ა) **შიდა ტურიზმი**, რომელიც მოიცავს რეზიდენტი ვიზიტორის საქმიანობას მოცემული ქვეყნის შიგნით, როგორც ქვეყნის შიდა ტურისტული მგზავრობის ნაწილს ან როგორც
ქვეყნის გარეთ ტურისტული მგზავრობის;

(ბ) **შემომყვანი ტურიზმი**, რომელიც მოიცავს არარეზიდენტი ვიზიტორის საქმიანობას მოცემული ქვეყნის შიგნით, შემომყვანი ტურისტული მგზავრობისას;

(გ) **გამყვანი ტურიზმი** მოიცავს რეზიდენტი ვიზიტორის მოცემული ქვეყნის ფარგლებს გარეთ აქტივობებს, რომლებიც შეადგენენ ან გამყვანი ტურისტული მგზავრობის ნაწილს ან შიდა ტურისტული მგზავრობის ნაწილს.

ტურიზმის ზემოთ მოცემული სამი ძირითადი ფორმა შეიძლება სხვადასხვაგვარად იყოს კომბინირებული, და აქედან გამომდინარე, წარმოქმნას სხვა ტურიზმის ფორმები:

(ა) **საშინაო ტურიზმი**, რომელიც მოიცავს შიდა ტურიზმს და შემომყვან ტურიზმს, და წარმოადგენს რეზიდენტი და არარეზიდენტი ვიზიტორების საქმიანობას მითითებული ქვეყნის შიგნით, როგორც ნაწილს შიდა ან საერთაშორისო ტურისტული მგზავრობებისა;

(ბ) **ეროვნული ტურიზმი**, რომელიც მოიცავს შიდა და გამყვან ტურიზმს, და წარმოადგენს რეზიდენტი ვიზიტორების საქმიანობას მოცემული ქვეყნის შიგნით და გარეთ, როგორც ნაწილს შიდა ან გამყვანი ტურისტული მგზავრობებისა;

(გ) **საერთაშორისო ტურიზმი**, რომელიც მოიცავს შემომყვან ტურიზმს და გამყვან ტურიზმს, და წარმოადგენს რეზიდენტი ვიზიტორების საქმიანობას მოცემული ქვეყნის გარეთ, ან როგორც ნაწილს შიდა ან გამყვანი ტურისტული მგზავრობისა და არარეზიდენტი ვიზიტორების საქმიანობას მოცემული ქვეყნის შიგნით, შემომყვანი ტურისტული მგზავრობის დროს.[7]

ტურიზმის სფეროში სუბიექტებს წარმოადგენენ შემდეგი კატეგორიები:

მოგზაური არის ნებისმიერი ასაკის პირი, რომელიც გადაადგილდება სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალს შორის ნებისმიერი ხანგრძლივობითა და მიზნით. ის გამორიცხავს

[7] ნ. აბესაძე, რ. ქინქლაძე, ქ.ჩიტალაძე სტატისტიკა ტურიზმისათვის. თბ.2018. გვ. 22

საქართველოს რეზიდენტ სხვა ქვეყნის მოქალაქეებს და მოიცავს საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც უცხო ქვეყნის რეზიდენტები არიან. საერთაშორისო მოგზაურის მიერ განხორციელებულ ვიზიტს საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტად მოვიხსენიებთ.

ვიზიტორი არის 15 წლის ან უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი მოგზაური, რომელმაც განახორციელა ვიზიტი საკუთარი ჩვეული გარემოდან საქართველოს ტერიტორიაზე ერთ წელზე ნაკლები დროით. საქართველოში ჩვეული გარემოს განსასაზღვრად შეირჩა მეთოდი, რომლის თანახმადაც ჩვეულ გარემოში ითვლება ის ვიზიტები, რომელიც თვეში 8-ჯერ ან 8-ზე მეტჯერ ხორციელდება. საერთაშორისო ვიზიტორის მიერ განხორციელებულ ვიზიტს საერთაშორისო ვიზიტს ვუწოდებთ.

ვიზიტორი არის მოგზაური, რომელიც მგზავრობს მთავარი დანიშნულების ადგილისკენ ჩვეული გარემოს გარეთ, ერთ წელზე ნაკლები ვადით, ნებისმიერი მთავარი მიზნით (ბიზნესი, დასვენება, ან პირადი მიზეზები) გარდა დანიშნულების ქვეყანაში ან დანიშნულების ადგილზე არსებულ დაწესებულებაში დასაქმებისა. ვიზიტორების მიერ განხორციელებული მსგავსი მგზავრობები ითვლება ტურისტულ მგზავრობად. ტურიზმი ვიზიტორების აქტივობას ეწოდება.

შიდა, შემომყვან ან გამყვან მოგზაურს, რომელიც იმყოფება ტურისტულ მგზავრობაში, შესაბამისად ეწოდება შიდა, გამყვანი და შემომყვანი ვიზიტორი. შიდა, გამყვან ან შემომყვან ვიზიტორების მოგზაურობას შესაბამისად ეწოდება, შიდა, გამყვანი ან შემომყვანი ტურიზმი.

შიდა ან გამყვანი ტურისტული მგზავრობა ეწოდება ვიზიტორის მოგზაურობას თავისი ჩვეული რეზიდენტობის ადგილის დატოვებიდან უკან დაბრუნებამდე. ამგვარად ის ნიშნავს ორი მიმართულებით მგზავრობას.

შემომყვანი ტურისტული მგზავრობა ეწოდება ვიზიტორის მოგზაურობას ქვეყანაში შემოსვლიდან მის დატოვებამდე. ტურისტულ მგზავრობას სხვა მახასიათებლებთან ერთად (მაგალითად, ძირითადი მიზანი) ახასიათებს ძირითადი დანიშნულების ადგილი.

ტურისტი არის ვიზიტორი, რომელმაც ღამე გაათენა საქართველოს ტერიტორიაზე. მათ მიერ განხორციელებული ვიზიტები საერთაშორისო ტურისტული ვიზიტებია.

ერთდღიანი (ექსკურსანტი) არის ვიზიტორი, რომელიც ღამეს არ ათენებს საქართველოს ტერიტორიაზე. მათ მიერ განხორციელებული ვიზიტები ერთდღიანი (ექსკურსიული) ვიზიტებია.

სხვა ვიზიტები (არატურისტული) მოიცავს ყველა იმ ვიზიტს, რომელიც არ შედის საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობაში. ეს კატეგორია მოიცავს 15 წელზე უმცროსი ასაკის მოგზაურების ვიზიტებს და ჩვეულ გარემოში განხორციელებულ ვიზიტებს (8 და 8-ზე მეტი თვეში).[8]

ტურისტული მგზავრობის ძირითადი დანიშნულების ადგილი არის ის ადგილი, რომელიც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა მგზავრობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების დროს. მიუხედავად ამისა, თუკი ასეთი ადგილის იდენტიფიცირებას ვერ შეძლებს ვიზიტორი, ძირითადი დანიშნულების ადგილი იქნება ის ადგილი, სადაც ის ყველაზე დიდ დროს გაატარებს მგზავრობის დროს. და კიდევ, თუკი ასეთი ადგილის იდენტიფიცირებას ვერ შეძლებს ვიზიტორი, ძირითადი დანიშნულების ადგილი იქნება ის ადგილი, რომელიც ყველაზე შორს მდებარეობს მისი ჩვეული რეზიდენტობის ადგილიდან.

მგზავრობა არის შიდა, თუ ძირითადი დანიშნულების ადგილი მდებარეობს ვიზიტორის მუდმივი რეზიდენტობის ქვეყანაში. შემომყვანი ან გამყვანი მგზავრობის შემთხვევაში ძირითადი დანიშნულების ადგილი ვიზიტორის რეზიდენტობის ქვეყნის გარეთ იმყოფება. გამყვანი ტურისტული მგზავრობა შეიძლება მოიცავდეს ისეთი ადგილების მონახულებას, რომლებიც რეზიდენტობის ქვეყანაში იმყოფება, ისევე როგორც შიდა მგზავრობა შეიძლება მოიცავდეს რეზიდენტობის ქვეყნის გარეთ ვიზიტებს. შემომყვანი მგზავრობა, მოიცავს მხოლოდ მითითებული ქვეყნის ფარგლებში ვიზიტებს.

ყველა ტურისტის ქვეყანაში ყოფნის ხანგრძლივობა დროის განსაზღვრულ პერიოდში გაიანგარიშება როგორც ტურისტების რიცხვისა და ერთი ტურისტის ქვეყანაში ყოფნის საშუალო ხანგრძლივობის ნამრავლი. ქვეყანაში ყოფნის საშუალო ხანგრძლივობა გამოითვლება მარტივი საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე.

[8] ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებ-გვერდი: საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა 2017, გვ. 4.

მგზავრობის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით გამოყოფენ მოგზაურობის ბაზრის რამდენიმე სეგმენტს:

1. **მოკლევადიანი გამგზავრება** (1-3 დღით, ღამისთევით) განკუთვნილია დასვენებისა და გართობისათვის, აგრეთვე საქმიანი მიზნისათვის; ამავე ჯგუფში (4-7 დღით, ღამისთევით) გაერთიანებულია გამგზავრება სხვადასხვა მოტივებით, რომელიც ხორციელდება დამატებითი შვებულების დროს;

2. **საშუალო ხანგრძლივობის მოგზაურობა** (8-28 დღით, ღამისთევით) ხორციელდება შვებულებაში ყოფნისას ძირითადად დასვენების მიზნით.

3. **გრძელვადიანი ტურიზმი** (29-31 და 92-365 დღით, ღამისთევით) ძირითადად განკუთვნილია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისათვის, ერთი მხრივ, გართობისა და დასვენებისათვის, და მეორე მხრივ, საქმიანი და პროფესიული მიზნისათვის.[9]

არსებობს ტურიზმის რამდენიმე სახე, რომელთა მიხედვითაც ტურისტული პროდუქტების შექმნა წარმოადგენს ტურიზმის განვითარების შესაძლებლობებს. განვმარტოთ რამდენიმე მათგანი:

სოციალური ტურიზმი-ევროპის ქვეყნებში, იგი ასოცირებულია დაბალი შემოსავლების მქონე იმ ადამიანებთან, რომლებიც მოკლებული არიან მაღალი ხარისხის ტურისტული მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობას. მოქალაქეების ეს კატეგორია საჭიროებს სოციალური ხასიათის შეღავათებს. მათ მიეკუთვნება მრავალშვილიანი ოჯახები, დაბალანაზღაურებადი მომსახურე პერსონალი, პენსიონერი და ა.შ.

სპეციალიზირებული და სათავგადასავლო ტურიზმი-ყველაზე სწრაფად განვითარებადი ტურიზმის სახეობაა, როგორც საქართველოში ასევე მსოფლიოშიც, მას საფუძვლად შეიძლება დაედოს ნებისმიერი სახის გატაცება თუ სურვილი. მაგალითისთვის შეიძლება ავიღოთ არქეოლოგიური გათხრები, რაც შეეხება სათავგადასავლო ტურიზმს ის მოიცავს-ლაშქრობა და ალპინიზმი, ნადირობა, თევზაობა და ა.შ. სპეციალიზირებული და სათავგადასავლო ტურიზმისათვის საჭიროა

[9] ნ. აბესაძე, რ. ქინქლაძე, ქ.ჩიტალაძე სტატისტიკა ტურიზმისათვის. თბ.2018. გვ. 25

მცირერიცხოვანი საგანგებო ობიექტები. აქ უნდა მუშაობდნენ კვალიფიციური გიდები, რათა უსაფრთხოების დონე იყოს დაცული.

სასოფლო ანუ აგრარული ტურიზმი- ითვალისწინებს განთავსებას ადგილობრივი ტრადიციებით აგებულ სახლებში, კვებას ადგილობრივი წარმოების კვების პროდუქტებით და მონაწილეობას სოფლის ცხოვრებაში. ადგილობრივი მკვიდრნი სოფლად აშენებენ, ფლობენ და განკარგავენ ტურისტულ ობიექტებს, ქმნიან სამუშაო ადგილებს და ტურისტების მიერ გაწეული დანახარჯებიდან იღებენ პირდაპირ ეკონომიკურ მოგებას. სასოფლო ტურიზმის განვითარება არ ითხოვს დიდ კაპიტალდაბანდებას, მაგრამ საჭიროებს სრულყოფილ დაგეგმვას და პროგრამირებას. ადგილობრივმა მოსახლეობამ უნდა გაიაროს სპეციალური მომზადება. აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია , სოფელში ახალი ტურისტული ობიექტებიც აშენდეს. სოფლისა და აქტიური დასვენების ტურიზმი დღეს შეესაბამება იმას, რისი შეთავაზებაც ახლავე შეუძლია ტურიზმს, როგორც დარგს-ბუნებრივი რესურსებით, სტუმართმოყვარეობით, ადგილობრივი ტრადიციებით და ადეკვატური განთავსების შესაძლებლობებით. ქალაქისა და მასობრივი ტურიზმისაგან განსხვავებით, მათი მოქმედების არეალი საშუალებას იძლევა მოხდეს ტურისტული სივრცის სრული შევსება განთავსების საშუალებათა სიმცირის მიუხედავად, თუმცა ტურიზმის კომპონენტთა როლი განხილული უნდა იქნას უფრო მასშტაბურად და სტრატეგიული მიმართულებების გათვალისწინებით.

ეკოტურიზმი-ეს არის ისეთი მოგზაურობა ტურისტებისა, რომლებსაც გარემოსადმი თავიანთი პასუხისმგებლობა მკაფიოდ აქვს გათვითცნობიერებული. ტერმინი „ეკოტურიზმი” 1983 წელს დამკვიდრდა. ის მექსიკელმა ეკონომისტ-ეკოლოგმა ჰექტორ ცებალოს-ლასკურეინმა შემოიღო. ეკოტურიზმს იგი უწოდებდა მოგზაურობას. „შედარებით ხელუხლებელად დაუბინძურებელ ბუნებრივ ტერიტორიებზე სპეციფიკური მიზნით, კერძოდ, განათლებისთვის, ბუნების პეიზაჟებით, მცენარეებითა და ველური ცხოველებით აღტაცებისა და ტკობობისთვის, ასევე ამ ტერიტორიების კულტურული თავისებურებების შესასწავლად”.[10]

[10] იხ. http://mastsavlebeli.ge/?p=1084

1.3 ტურიზმის სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა

დღევანდელ მსოფლიოში ტურიზმის სტატისტიკა საკითხთა დიდ წრეს იკვლევს. ტურიზმის სტატისტიკის, ისე როგორც ყოველი დამოუკიდებელი მეცნიერების არსებობა განპირობებულია მისი შესწავლის ობიექტით, საგნითა და მეთოდებით.

ტურიზმის სტატისტიკაში, რომლის კვლევის ობიექტი ამ სფეროში მიმდინარე მოვლენები და მოსავალ კატეგორიას წარმოადგენს ტურიზმი.

ტურიზმში არსებობს სხვადასხვა კლასიფიკაციები და დაჯგუფებები, მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის რეკომენდაციით სტატისტიკურ მონაცემთა დაჯგუფება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით უნდა განხორციელდეს. კერძოდ:

საქმიანობის სახეების მიხედვით დამთვალიერებლის საქმიანობის სახეები განისაზღვრება მათი ფაქტიური მოქმედებით მოგზაურობის დროს.

ასაკის მიხედვით დამთვალიერებლის ასაკი იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

1. 0-14 წლამდე;
2. 15-24 წელი;
3. 25-44 წელი;
4. 45-64 წელი;
5. 65 წელი და მეტი.

დანიშნულების ადგილის მიხედვით დანიშნულების ადგილი წარმოადგენს ადგილს, რომლის მონახულებაც ხდება მოგზაურობის დროს. ის შეიძლება განისაზღვროს, როგორც მოსანახულებელი პუნქტი, ყველაზე უფრო დაშორებული სახლიდან (მოშორებული დანიშნულების ადგილი); ადგილი, სადაც გატარებულ იქნა დროის უმეტესი ნაწილი (მთავარი დანიშნულების ადგილი) ან ადგილი, რომელსაც მოგზაურები თვლიან მთავარ მოსანახულებელ ადგილად (მოტივირებული დანიშნულების ადგილი).

მოგზაურობის ხანგრძლივობის მიხედვით ის დაკავშირებულია დროსთან, რომელიც მოიცავს მონახულების პერიოდს, რომელიც იზომება მიმართულების ქვეყნის ან ადგილის მიხედვით.

ქვეყანაში ყოფნის ხანგრძლივობა მოიცავს დროს, რომელიც იხარჯება მოგზაურობისას და იზომება მომდევნო ქვეყნის ან ადგილის მიხედვით.

ერთდღიან მოგზაურობებთან დაკავშირებით ტურიზმის სტატისტიკა უნდა ფლობდეს დროის მიხედვით შემდეგ მონაცემებს:

1. სამ საათზე ნაკლები (სურვილის მიხედვით) ორ საათზე ნაკლები და 2-3 საათი;
2. 3-5 საათამდე 3 საათი, 4 და 5 საათი;
3. 6-8 საათამდე (6 საათი, 7 საათი, 8 საათი);
4. 9-11 საათამდე;
5. 12 საათი და მეტი.

ღამისთევით მოგზაურობის დროს გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:

1. 1-3 ღამე ერთი ღამე, 2-3 ღამე;
2. 4-7 ღამე;
3. 8-28 ღამე: ა) 8-14 ღამე, ბ) 15-21 ღამე, გ) 22-28 ღამე;
4. 29-91 ღამე: ა) 29-42 ღამე, ბ) 43-56 ღამე, გ) 57-70 ღამე;
5. 92-365 ღამე: ა) 92-182 ღამე, ბ) 183-365 ღამე.

დამთვალიერებლების საქმიანობის ეკონომიკური სტატუსის მიხედვით გამოიყოფა:

1. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა:

- დასაქმებულები;
- უმუშევრები.

2. ეკონომიკურად პასიური მოსახლეობა:

- სტუდენტები, მოსწავლეები;
- დიასახლისები;
- პენსიონერები;
- დანარჩენი.

განათლების დონის ნიშნის მიხედვით მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის რეკომენდაციების მიხედვით ტურიზმის სტატისტიკა გამოყოფს განათლების დონის შემდეგ ჯგუფებს:

1. განათლების არმქონე ან არასრული დაწყებითი განათლება;
2. პირველი დონე ან დაწყებითი განათლება;
3. მეორე დონე–პირველი ეტაპი ან არასრული საშუალო განათლება;
4. მეორე დონე–მეორე ეტაპი ან დამთავრებული საშუალო განათლება;
5. მესამე დონე–უმაღლესი განათლება.

შემოსავლების დონე ამ ნიშნის მიხედვით კლასიფიკაცია შესაბამის ჯგუფებად სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია.

ტურისტების სტატისტიკური აღიცხვა-ანალიზისათვის მნიშვნელოვანია **ტრანსპორტის სახეების მიხედვით** მათი დაჯგუფება. ამიტომ ტრანსპორტირების სახეების შესაბამისად ტურიზმის სტატისტიკა ახორციელებს ტურისტების შემდეგნაირ დაჯგუფებას:

1. **საჰაერო ტრანსპორტი**

- რეისები განრიგის მიხედვით;
- რეისები განრიგის გარეშე;
- სხვა საჰაერო გადაზიდვები;

2. **წყლის(სანაოსნო) ტრანსპორტი:**

- სამგზავრო ლაინერები და ბორნები;
- კრუიზები;
- სხვა წყლის ტრანსპორტი;

3. **სახმელეთო ტრანსპორტი:**

- სარკინიგზო ტრანსპორტი;
- საერთაშორისო და საქალაქო ავტობუსები და სხვა საზოგადოებრივი ტრანსპორტი:
- დამოკიდებული განრიგზე, რეგულარული მომსახურებით;

- განრიგის გარეშე, ტურისტული და ჩარტერული რეისები;
- კერძო ავტომობილები (8 ადამიანის ტევადობით);
- ავტოტრანსპორტის გაქირავების სერვისი;
- სხვა სახმელეთო ტრანსპორტი.

მნიშვნელოვანია ტურისტების რიცხოვნობის გაანგარიშება პროფესიული ნიშნისა და საქმიანობის მიხედვით. ეს აუცილებელია ტურისტული კომპანიებისათვის, ვინაიდან განსხვავებული ტურისტული პროდუქტების არსებობის შემთხვევაში მომხმარებლისათვის შეთვაზებულ იქნეს მისთვის სასურველი მომსახურების პაკეტი. აქედან გამომდინარე მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია იძლევა რეკომენდაციას დაჯგუფება განხორციელდეს შემდეგნაირად:

1. კანონმდებლები, ხელმძღვანელი მუშაკები და მმართველობითი საქმიანობით დაკავებულები;
2. მაღალკვალიფიცური სპეციალისტები;
3. ტექნიკოსები და საშუალო რგოლის სპეციალისტები;
4. მომსახურების სფეროს მუშაკები;
5. ვაჭრობის სფეროს მუშაკები;
6. სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის კვალიფიციური მუშაკები;
7. სახალხო რეწვის ოსტატები და მონათესავე სფეროს სპეციალისტები;
8. მრეწველობის დარგებში დასაქმებულები;
9. არაკვალიფიცირებული მომუშავენი;
10. სამხედრო მოსამსახურეები.

მოგზაურობის მიზნის მიხედვით საერთშორისო პრაქტიკაში გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:

1. გართობა, რეკრეაცია და დასვენება;
2. ნათესავების და ნაცნობების მონახულება;
3. საქმიანი და პროფესიული ;
4. სამკურნალო;

5. რელიგიური;

6. სხვა მიზნები. [11]

ტურიზმის სტატისტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა ტურისტული ნაკადების შესწავლა.

ტურისტული ნაკადების ძირითად მაჩვენებელს წარმოადგენს შემოსვლის (გასვლის) რაოდენობა და იქ ყოფნის ხანგრძლივობა.შემოსავლის (გასვლის) რაოდენობის ქვეშ იგულისხმება დროის განსაზღვრულ პერიოდში (1 კალნდარულ წელს) ამათუიმ ქვეყანაში შემოსული (გასული) რეგისტრირებული ტურისტების რიცხვი. რადგანაც ტურისტს შეუძლია ეწვიოს წლის განმავლობაში რამოდენიმე ქვეყანას, ამიტომ ტურისტების ფაქტიური რიცხვი ნაკლებია შემოსვლის რაოდენობაზე.

ტურისტების შემოსვლის (გასვლის) სტატისტიკური მონაცემები შეიძლება დაჯგუფდეს მგზავრობის მიზნით, გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების, გამგზავრების დროის (თვეთა რიცხვი), ქვეყნისა და რეგიონების მიხედვით.

ტურისტების შემოსვლის (გასვლის) რაოდენობა გვევლინება ტურისტული მოძრაობის ძირითად მაჩვენებლად. შემოსვლა (გასვლა) გამოითვლება აბსოლუტურ გამოხატულებაში (დროის მონაკვეთში გამგზავრების რიცხვი), მაგრამ აბსოლუტურ მონაცემებს არ შეუძლიათ ტურისტული აქტივობის დონის შეფასება, რადგანაც აბსოლუტური მონაცემები დამოკიდებულია მოსახლეობის საერთო რიცხვზე. ამიტომ ტურისტთა გაცვლითი ინტენსივობის შეფასებისთვის შემოსვლის (გასვლის) რიცხვი გაიანგარიშება მოსახლეობის 1000 კაცზე.

ტურისტების შემოსვლის (გასვლის) რაოდენობასთან ერთად ტურისტული ნაკადების სტატისტიკაში გამოიყენება მეორე მაჩვენებელი – ტურისტების ადგილზე ყოფნის ხანგრძლივობა. ის იზომება ერთდღიანი გამგზავრებისას საათებში და ღამისთევის შემთხვევაში – მათი რიცხვის მიხედვით.

[11] ნ. აბესაძე, რ. ქინქლაძე, ქ.ჩიტალაძე სტატისტიკა ტურიზმისათვის. თბ.2018. გვ 123-127.

ყველა ტურისტის ქვეყანაში ყოფნის ხანგრძლივობა დროის განსაზღვრულ პერიოდში გაიანგარიშება როგორც ტურისტების რიცხვისა და ერთი ტურისტის ქვეყანაში ყოფნის საშუალო ხანგრძლივობის ნამრავლი.[12]

თავი II. ტურიზმის ძირითადი ტენდენციები და პრობლემები საქართველოში

2.1 ტურიზმის ძირითადი ტენდენციები საქართველოში

საერთაშორისო ტურიზმს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში. დიდ როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკაში. უცხოელი ვიზიტორების დანახარჯები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს საგადამხდელო ბალანსზე. საქართველოში საერთაშორისო ვიზიტების გასაზრდელად ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ აქტივობებს შორისაა: ტურიზმის მცირე ინფრასტრუქტურის განვითარება, საქართველოში საერთაშორისო მოგზაურობის გამარტივება, სერვისის ხარისხის გაუმჯობესება, საქართველოს ცნობადობის ამაღლება, მარკეტინგული აქტივობების იმპლემენტაცია, როგორც საერთაშორისო, ისე შიდა ბაზარზე და ტურისტული პროდუქტის განვითარება.

საქართველოში ტურისტული ნაკადის ანალიზისათვის გამოვიყენე სამი წყარო: შინაგან საქმეთა სამინისტროს, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა ბაზები. საქართველოში შემოსული ტურისტების რაოდენობა 2011-2018 წლის მონაცემების მიხედვით შემდეგნაირია:

ცხრილი 1.

	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
სულ (ათასი კაცი)	1 832,8	2 459,8	2 884,3	2 938,9	3 011,7	3 297,3	4 069,4	4 756,8

წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

[12] ნ. აბესაძე, რ.ქინქლაძე, ქ. ჩიტალაძე. სტატისტიკა ტურიზმისათის. თბ. 2018. გვ.28

სტატისტიკური მაჩვენებლის დინამიკის, დროში განვითარების დასახასიათებლად გამოვიყენოთ დინამიკური (დროითი) მწკრივის საანალიზო მაჩვენებლები: აბსოლუტური მატება, საშუალო აბსოლუტური მატება, დინამიკური მწკრივის ზრდისა და მატების ტემპები, საშუალო წლიური ზრდისა და მატების ტემპები.

აბსოლუტური მატება არის სხვაობა მომდევნო და წინა დონეებს შორის. თუ წინა დონედ აღებულია ერთი რომელიმე დონე, მაშინ გვაქვს საბაზისო აბსოლუტური მატება, ხოლო თუ თითოეულ დონეს აკლდება მისი მომიჯნავე წინა დონე, მაშინ გვაქვს ჯაჭვური აბსოლუტური მატება.

ჯაჭვური აბსოლუტური მატება გვიჩვენებს, რამდენით იზრდება/მცირდება დინამიკის ყოველი მომდევნო დონე წინა დონესთან შედარებით. საბაზისო აბსოლუტური მატება კი გვიჩვენებს რამდენით იზრდება/მცირდება დინამიკის ყოველი მომდევნო დონე პირველ დონესთან შედარებით.

გავიანგარიშოთ აბსოლუტური მატება მთლიანად ქვეყნისთვის. როგორც გრაფიკიდან ჩანს, წინა წელთან შედარებით ყოველწლიურად იზრდება ტურისტთა რაოდენობა, ქვეყნის დონეზე შედარებით არასტაბილური სურათია, ზოგიერთ წელს მეტად ზოგან კი ნაკლებად იზრდება.

დიაგრამა 1.



ყველაზე დიდი რაოდენობით მატება დაფიქსირდა 2017 წელს, როდესაც 2016 წელთან შედარებით ტურისტთა რაოდენობა გაიზარდა 772 ათასით.

ზრდის ტემპი გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ იზრდება დინამიკური მწკრივის ესა თუ ის დონე. ზრდის ტემპიც არის საბაზისო და ჯაჭვური, თუ წინა დონედ მიჩნეულია ერთი რომელიმე უცვლელად, მაშინ მივიღებთ საბაზისო ზრდის ტემპებს, ხოლო თუ ის იცვლება და თითოეულ დონეს ვადარებთ მის მომიჯნავე წინა დონეს, მაშინ შედეგად ვიღებთ ჯაჭვური ზრდის ტემპებს.

მთლიანი ვიზიტორთა რაოდენობის მიხედვით:

$$Y_{2012} = 134.2\%$$
$$Y_{2013} = 117.3\%$$
$$Y_{2014} = 101.9\%$$
$$Y_{2015} = 102.5\%$$
$$Y_{2016} = 109.5\%$$
$$Y_{2017} = 123.4\%$$
$$Y_{2018} = 116.9\%$$

დიაგრამა 2.



როგორც ვხედავთ, ყოველწლიურად იზრდება ევროკავშირიდან ტურისტთა რაოდენობა. მაგალითად, 2012 წელს 2011 წელთან შედარებით 125.7%-ჯერ გაიზარდა

აღნიშნული მაჩვენებელი. აშკარაა, რომ 2017 წელს დაფიქსირდა ყველაზე დიდი ზრდა-წინა წელთან შედარებით 123.4%-ჯერ გაიზარდა.

გადაწყვეტილებებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მატების ტემპის გამოთვლა, რათა დინამიკაში დავინახოთ მოვლენათა განვითარების ტენდენცია და გავაკეთოთ პროგნოზი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს მონაცემები უნდა იყოს შესადარისი. ამაში გვეხმარება მატების ტემპები და ის გამოიხატება პროცენტულად.

მატების ტემპი არის შეფარდებითი სიდიდე, რომელიც ახასიათებს, თუ რამდენი პროცენტითაა ერთი დონე მეტი ან ნაკლები მეორე დონეზე. ის მიიღება ზრდის ტემპისთვის 100%-ის გამოკლებით.

განვიხილოთ მთლიან ვიზიტორთა რაოდენობის მიხედვით:

დიაგრამა 3.



2018 წელს ვიზიტორების რაოდენობა იყო 4756.8 ათასი კაცი, რაც წინა წელთან შედარებით 16.9%-ით მეტია. გრაფიკიდან ჩანს, რომ 2011 წლიდან 2018-ის ჩათვლით ყოველ წელს ფიქსირდება ვიზიტორების ზრდა წინა წელთან შედარებით. ყველაზე მცირე ზრდა დაფიქსირდა 2014 წელს, ხოლო რეკორდული ზრდა 2012 წელს 34.2%-ით.

საშუალო აბსოლუტური მატება (კლება) ახასიათებს მოცემული დროის პერიოდში მოვლენის გადიდების თუ შემცირების საშუალო მნიშვნელობას.

$$\bar{\Delta} = 417.7$$

ეს მაჩვენებელი გვიჩვენებს, რომ 2011-2018 წლებში მთლიან ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ ყოველწლიურად 417.7 ათასით იზრდება.

განვიხილოთ ძირითადი მაჩვენებლები:

ვიზიტორების დემოგრაფიული პროფილი:

2018 წელს საერთაშორისო ვიზიტორების უმრავლესობა საქართველოში მამრობითი სქესის წარმომადგენელი იყო (მამრობითი – 60.3%; მდედრობითი – 39.7%).

დიაგრამა 4.



31-50 წლის ასაკობრივი კატეგორია საერთაშორისო ვიზიტორების ყველაზე დიდ ნაწილს შეადგენდა (46.3%), მას მოყვება 15-30 წლის კატეგორია 28%-ით, 51-70 და 71 წელზე მეტი კატეგორია შესაბამისად 23.8% და 1.9%.

დიაგრამა 5.



ვიზიტების რიგითობის მიხედვით:

2018 წელს საერთაშორისო ვიზიტების 72.9% წარმოადგენდა განმეორებით ვიზიტს, ხოლო 27.1% კი პირველადს. შესაბამისად 2018 წელს საქართველოში 1,949,053 პირველადი ვიზიტი განხორციელდა. მეზობელი ქვეყნის რეზიდენტების უმრავლესობისთვის საქართველოში ვიზიტი პირველი არ იყო. განმეორებითი ვიზიტი ყველაზე ხშირ ხასიათს სომხეთის რეზიდენტების ვიზიტებში ატარებს 99.1%, შემდეგ მოდის აზერბაიჯანი 95.6%, თურქეთი 71.4% და რუსეთი 66%. სხვა არამეზობელი ქვეყნის რეზიდენტების უმეტესობა საქართველოს პირველად ეწვია (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა - 58.7%; „სხვა ევროპა“ – 60.6%, „სხვა ქვეყნები“ – 71.4%). ყველაზე მეტი ახალი ვიზიტი საქართველოში 2018 წლის ივლისი-აგვისტოს პერიოდში განხორციელდა (შესაბამისად 14.9% და 17.6%), ხოლო ყველაზე ნაკლები ახალი ვიზიტი (3.3%) კი თებერვალში დაფიქსირდა.

დიაგრამა 6.



ტოპ 10 ქვეყანა:

განვიხილოთ ქვეყნების ათეული, საიდანაც შემოდის ვიზიტორთა უმეტესობა:

ცხრილი 2.

	ქვეყანა	2017	2018	ცვლილება	ცვლილება %
1	რუსეთი	825 437	1 083 874	258 437	31.3%
2	აზერბაიჯანი	608 682	697 782	89 100	14.6%
3	თურქეთი	547 983	589 340	41 357	7.5%
4	სომხეთი	466 449	510 542	44 093	9.5%
5	საქართველო (არარეზიდენტი)	404 584	424 597	20 013	4.9%
6	ირანი	273 842	280 735	6 893	2.5%
7	უკრაინა	147 389	158 160	10 771	7.3%
8	ისრაელი	112 827	154 764	41 937	37.2%
9	პოლონეთი	47 604	65 361	17 757	37.3%
10	გერმანია	41 217	61 422	20 205	49.0%

როგორც ვხედავთ, ტოპ 3-ში მეზობელი ქვეყნები შედიან. წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა, თითქმის გაორმაგდა გერმანიიდან შემომსვლელთა რაოდენობა-49.0%-ით.

საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები:

ცხრილი 3.

აეროპორტი	2017	2018	ცვლილება	ცვლილება %	წილი %
თბილისის აეროპორტი	1,133,811	1,402,157	268,346	23.7%	19.5%
ბათუმის აეროპორტი	193,699	239,251	45,552	23.5%	3.3%
ქუთაისის აეროპორტი	112,179	147,009	34,830	31.0%	2.0%

როგორც ჩანს, საერთაშორისო ვიზიტორები უპირატესობას ანიჭებენ თბილისის აეროპორტს-მისი წილი 19.5%, ბოლო ადგილზეა ქუთაისის აეროპორტი, თუმცა წინა წელთან შედარებით ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა სწორედ ქუთაისის აეროპორტში-31%-ით ზრდა წინა წელთან შედარებით.

ცხრილი 4.

ტიპი	2017	2018	ცვლილება	ცვლილება %	წილი %
სახმელეთო	4,958,039	5,314,984	356,945	7.2%	73.8%
საჰაერო	1,439,689	1,788,417	348,728	24.2%	24.8%
სარკინიგზო	53,416	67,478	14,062	26.3%	0.9%
საზღვაო	31,686	32,471	785	2.5%	0.5%

ტრანპორტის ტიპებს შორის ლიდერობს სახმელეთო, მნიშვნელოვანი პროცენტული წილით-73.8%, მას მოსდევს საჰაერო-24.8%-ით. წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა სარკინიგზო და საჰაერო გზით შემომსვლელთა რაოდენობა, შესაბამისად 26.3% და 24.2%-ით.

შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან:

ცხრილი 5.

	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
სულ (ათასი აშშ დოლარი)	**954 908**	**1 410 902**	**1 719 700**	**1 787 140**	**1 868 479**	**2 110 709**	**2 704 340**	**3 222 074**
მათ შორის:	↓	↓	↓	↓	↓	↓	↓	↓
I კვ.	163 990	235 930	302 818	315 461	305 180	342 590	425 673	550 730
II კვ.	222 250	330 827	426 525	429 690	409 470	497 441	629 854	809 969
III კვ.	326 569	487 721	604 202	649 775	742 849	813 161	1 078 274	1 210 561
IV კვ.	242 101	356 423	386 156	392 215	410 979	457 517	570 538	650 814

საერთაშორისო შემოსავლებიდან მიღებული შემოსავლები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე, სწორედ ამიტომ მათი ზრდა ერთ-ერთ მთავარ ინტერესის საგანს წარმოადგენს. გამომდინარე იქიდან, რომ იზრდება ყოველწლიურად ვიზიტორების რიცხვი, ასევე იზრდება შემოსავლები ტურიზმიდან, რაც პოზიტიური სურათია. 2011-2018 წლებში შემოსავლები საშუალოდ ყოველწლიურად 323 880.8 ათასი აშშ დოლარით იზრდება.

საერთაშორისო ვიზიტორების განხორციელებული დანახარჯები:

ტურისტული შემოსავლები და ხარჯები ტურიზმის სტატისტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა,რომელიც მოიცავს ტურიზმის ღირებულებით შეფასებას, რაც აუცილებელია ეროვნულ ეკონომიკაზე მისი გავლენის შეფასებისათვის. ტურისტული ხარჯებში იგულისხმება ტურისტული მოგზაურობის განმავლობაში შეძენილი საქონლისა და მომსახურების ხარჯები, იმისგან დამოუკიდებლად, საკუთარი მოხმარებისთვისაა ისინი შეძენილი თუ სხვისთვის.[13]

2018 წელს საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული დანახარჯების ჯამურმა რაოდენობაა 7.9 მილიარდ ლარი, ხოლო ერთი ვიზიტისას გაწეულმა საშუალო დანახარჯმა 1,099.1 ლარი შეადგინა. დანახარჯების ყველაზე დიდი წილი საკვებსა და სასმელზე (მთლიანი ხარჯები 28.6%) და განთავსების საშუალებებზე (23.4%) მოდის. ასევე მნიშვნელოვანი წილით არის წარმოდგენილი რეკრეაციულ და კულტურულ აქტივობებზე დანახარჯები (18.1%), ხოლო შოპინგზე ვიზიტორებმა მთლიანი დანახარჯების მხოლოდ 13.6% გასწიეს.

ცხრილი 6.

დანახარჯების კომპონენტები	**მთლიანი დანახარჯი (ათასი ლარი)**	**წილი %**
საკვები და სასმელი	2 266 881.1	28.6%
განთავსების საშუალებები	1 854 514.2	23.4%
რეკრეაცია, კულტურული და სპორტული აქტივობები	1 434 705.2	18.1%
შოპინგი	1 074 094.3	13.6%
ადგილობრივი ტრანსპორტი	560 769.3	7.1%
სხვა დანახარჯები	726 539.9	9.2%

მეზობელი ქვეყნებიდან რუსეთის რეზიდენტები გამოირჩევიან ყველაზე მაღალი საშუალო დანახარჯით (1 326 ლარი), მას მოსდევს თურქეთი 923 ლარი, სომხეთი - 540 ლარი და აზერბაიჯანი - 385 ლარი.

[13] Alternative methodologies for studying the tourism experience.

ცხრილი 7.

რეზიდენტობის ქვეყანა	**საშუალო დანახარჯი (ლარი)**
აზერბაიჯანი	385
თურქეთი	923
რუსეთი	1 326
სომხეთი	540
ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა	1 888
სხვა ევროპა	2 337
სხვა ქვეყნები	2 357

ტურისტული შემოსავლები და ხარჯები ტურიზმის სტატისტიკის უმნიშვნელოვანესი სფეროა, რომელიც მოიცავს ტურიზმის შეფასებას ღირებულებაში, რაც აუცილებელია ეროვნულ ეკონომიკაზე მისი გავლენის შეფასებისათვის.

ტურიზმიდან მიღებული შემოსავლით, საქართველო მსოფლიოში 69-ე ადგილზეა 141 ქვეყანას შორის. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) მონაცემებით, საქართველომ გასულ წელს ტურიზმიდან 2.7 მილიარდი დოლარის შემოსავალი მიიღო.

ტურიზმიდან მიღებული შემოსავლით მსოფლიოში პირველ ადგილს აშშ იკავებს 210.7 მლრდ დოლარით, ხოლო მეორე ადგილზე ესპანეთია, - 68 მლრდ დოლარი, მესამე ადგილს საფრანგეთი იკავებს 60.7 მლრდ დოლარით, მას მოსდევს ტაილანდი, რომელმაც ერთ წელში ტურიზმიდან 57.5 მლრდ დოლარის შემოსავალი მიიღო. ხუთეულს გაერთიანებული სამეფო ასრულებს 51.2 მლრდ დოლარით.

2018 წელს საქართველომ ტურიზმიდან 3.2 მილიარდი აშშ დოლარის შემოსავალი მიიღო. აქედან ყველაზე მეტი შემოსავალი III კვარტალში დაფიქსირდა და მან 1.2 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდს 12%-ით აღემატება.

ევროპის რეგიონში, რომელშიც 48 ქვეყნის მონაცემია გაერთიანებული, საქართველო მიღებული შემოსავლით, 30-ე ადილზეა.

2016 წელს, საქართველომ ტურიზმიდან 2.1 მლრდ დოლარი მიიღო, 2010 წელს კი ეს თანხა 659.0 მლნ დოლარს შეადგენდა.

UNWTO-ს მონაცემებით, იმ ქვეყნებს შორის, სადაც ტურისტების რაოდენობა ყველაზე მეტად გაიზარდა, საქართველო მეოთხე ადგილზეა ეგვიპტის, ვიეტნამისა და ტოგოს შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი სხვა ქვეყნებთან შედარებით მაღალი არ არის ქვეყნის მშპ-ში, მისი წილი 15%-ს აღემატება (2016 წელი). მონტენეგროში ეს მაჩვენებელი 21%-ს აღემატება, ხორვატიაში 19%-ს. მშპ-ში ტურიზმის წილით საქართველო უსწრებს მაგალითად საბერძნეთს, სადაც ეს მაჩვენებელი 8%-ზე დაბალია.

კმაყოფილების დონე:

გამომდინარე იქიდან, რომ კმაყოფილების დონე მნიშვნელოვანია, ამიტომ აუცილებელია მოცემული კრიტერიუმის მიხედვით ანალიზი.

დიაგრამა 7.



როგორც ვხედავთ, საკმაოდ პოზიტიური შედეგი გვაქვს, ძალიან კმაყოფილია ვიზიტორთა ნახევარზე მეტია (53.9%), ასევე კმაყოფილი 34.1%. საერთო ჯამში გამოდის,

რომ საქართველოში ვიზიტით კმაყოფილია 88.0%, რაც გვიქმნის დადებით პროგნოზს იმისა, რომ ვიზიტორები კვლავ ეწვევიან საქართველოს.

2.2 ტურიზმის სტატისტიკაში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები

ტურიზმი ძლიერაა დაკავშირებული კულტურულ-სოციალურ საქმიანობასთან, ეკონომიკურ განვითარებასთან, გარემოსდაცვით მიზნებსა და მდგრად განვითარებასთან. ტურიზმის ინდუსტრია არის ერთ-ერთი ყველაზე დინამიური მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რამდენადაც ის ერგება ტექნოლოგიურ ცვლილებას, პროდუქტის ინოვაციებსა და ახალ ბაზრებს. ამიტომაც მნიშვნელოვანია იმ ფაქტორებისა და პრობლემების ანალიზი, რომლების მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ტურიზმზე.

დღეს, საქართველოში ტურიზმის განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორებად შეიძლება განვიხილოთ:

1. ტურისტული ინფრასტრუქტურა;
2. მომსახურების ხარისხი;
3. ტურისტული პროდუქტი;
4. ქვეყნის დაბალი ცნობადობა და არასათანადო იმიჯი;
5. ტურიზმის მდგრადი განვითარება და სახელმწიფოს მხარდაჭერა;
6. მისაწვდომობა;
7. კოორდინაციის ნაკლებობა;

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ტურისტული ინფრასტრუქტურის ქვეშ იგულისხმება შემდეგი:

- განთავსების საშუალებების არასათანადო დონე და რაოდენობა (განსაკუთრებით რეგიონებში). უპირველეს ყოვლისა საჭიროა ყურადღება მიექცეს ისეთ რეგიონებს, სადაც ვიზიტორთა ნაკადები არსებობს და მოთხოვნა სჭარბობს მიწოდებას. ასეთია

მაგალითად: ხევი, ხევსურეთი, თუშეთი, კახეთის ზოგიერთი რაიონი, იმერეთი და აჭარა.

- სამვარსკვლავიანი დაბალბიუჯეტიანი საერთაშორისო სასტუმრო ქსელების არარსებობა.

უკანასკნელ წლებში საქართველოში საგრძნობლად გაიზარდა სასტუმროების რაოდენობა, თუმცა მათი უმრავლესობა, განსაკუთრებით რეგიონებში არ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. მიუხედავად იმისა, რომ უკვე ფუნქციონირებს Holiday Inn ჯერ კიდევ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ქვეყანაში დაბალბიუჯეტიანი სასტუმროების არარსებობა.

- კვების ობიექტების არასათანადო აღჭურვილობა და მომსახურების ხარისხი.

უპირველეს ყოვლისა ეს ეხება ვიზიტორთა თავშეყრის ადგილებს, განსაკუთრებით საინტერესო ადგილებს (ისტორიული თუ ბუნებრივი ძეგლები), პოპულარულ ტურისტულ საფეხმავლო ბილიკებს (მაგ. ყაზბეგი – სნო - ჯუთა – როშკა; მესტია – ადიში – ხალდე – კალა – უჟგული; დასასვენებელ ადგილებს მაგ: ხერთვისი-ვარძია (მიმდინარეობს კეთილმოწყობა), ანანური, შაორის წყალსაცავი, ენგურის წყალსაცავი, და სხვა).

- არასაკმარისი ტურისტულ-საინფორმაციო დაფები და მანიშნებლები.

საგზაო დეპარტამენტთან ერთად უნდა გაგრძელდეს ტურისტულად მნიშვნელოვანი ობიექტების მანიშნებლების ქსელის დახვეწა, აღდგენა და შემდგომი განვითარება; ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან გაგრძელდეს საინტერპრეტაციო-საორიენტაციო დაფების მოწყობა (მსგავსი დაფები მოწყობილია რიგ ადგილებში, თუმცა მათი რაოდენობა საკმარისი არ არის);

- გამართული სანიტარიული კვანძების არარსებობა.

მიუხედავად იმისა, რომ ავტოგასამართ სადგურებზე დაიწყო ტუალეტების ფუნქციონირება, კვლავ პრობლემად რჩება ტუალეტების მოწყობა და სანიტარიული ნორმების დაცვით ფუნქციონირება პოპულარული ტურისტული მარშრუტებისა და სანახაობების გათვალისწინებით. ეს პრობლემა უნდა მოგვარდეს ადგილობრივი

მუნიციპალიტეტების, კერძო სექტორის ან თვით ტურისტული ობიექტების მონაწილეობით.

- დასუფთავების პრობლემა (განსაკუთრებით რეგიონებში).

მყარი ნარჩენების დაგროვება, უკონტროლო და უნებართვო სანაგვეები და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან დასუფთავების საკითხი უნდა იქნას პრიორიტეტულად განხილული განსაკუთრებით პოპულარული ტურისტული ადგილების ირგვლივ. მსგავსი პრობლემის მოგვარება უნდა მოხერხდეს მუნიციპალიტეტების მიერ, თუმცა მათ სჭირდებათ შესაბამისი ფინანსები და ტექნიკური ზედამხედველობა.

- მოუწესრიგებელი შიდა ტრანსპორტი.

ბოლო ორი წლის განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა ტურისტთა რიცხვი, რაც პოზიტიური ნიშანია. ამასთან ერთად, დღის წესრიგში დადგა საზოგადოებრივი ტრანსპორტის ორგანიზების და მომსახურების გაუმჯობესების საკითხი. ერთ-ერთი მარტივი საკითხია სატრანსპორტო საშუალებების პუნქტუალური და გააზრებული გრაფიკით ორგანიზება, რაც დღეისათვის ხშირად ქაოტურად ხდება. ასევე, მეტად მნიშვნელოვანია სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხოების საკითხიც.

- რეგიონებში წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის პრობლემა.

პრობლემა ზოგადად მეტად მწვავეა. დღეისათვის ხელისუფლების მნიშვნელოვანი ძალისხმევით თითქმის გადაიჭრა წყლით უზრუნველყოფის საკითხი, თუმცა კანალიზაციის სისტემები და დაბინძურებული წყლების გაწმენდის საკითხი მეტად მნიშვნელოვანია. მისი გადაჭრა მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებთანაა დაკავშირებული, ამიტომაც მიგვაჩნია, რომ უპირველეს ყოვლისა ყურადღება უნდა მიექცეს პოპულარულ ტურისტულ ადგილებს.

- ტურისტულ ღირსშესანიშნაობებთან მისასვლელი გზები.

მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარეობს სხვადასხვა ტურისტულ ღირსშესანიშნაობამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, ჯერ კიდევ მრავალ ისტორიულ ძეგლთან თუ სხვა ღირსშესანიშნაობასთან მისასვლელი გზა სავალალო მოდგომარეობაშია.

მომსახურების ხარისხის ქვეშ იგულისხმება:

- არაკვალიფიციური პერსონალი (განთავსების საშუალებები, კვების ობიექტები, სხვა ტურისტული ობიექტები).

აუცილებელია პრიორიტეტულ ტურისტულ ადგილებში განთავსებისა და კვების ობიექტების პერსონალისათვის მოკლევადიანი ტრენინგების ორგანიზება.

- პროფესიული მომზადების ცენტრების ნაკლებობა, ახალი სასწავლო ცენტრების შექმნა ქუთაისსა და ბორჯომში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ფუნქციონირებს ტურიზმის რამოდენიმე პროფესიული სასწავლებელი, რომელიც ამზადებს მომსახურების ქვედა და საშულო საფეხურის კადრებს, კვლავ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს მაღალკვალიფიციური, კონკრეტული პროფილის (მზარეული, მიმტანი და ა.შ.) სპეციალისტების არსებობა.

- უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების დაბალი დონე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში არსებული უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც ამზადებენ ტურიზმის სპეციალისტებს (ბაკალავრის და მაგისტრი ხარისხით) ხშირ შემთხევაში ვერ პასუხობენ საბაზრო მოთხოვნებს, შედეგად კურსდამთავრებულებს არ აქვთ შესაბამისი ცოდნა და მათი უმრავლესობა ტურიზმის სფეროში ვერ შოულობს სამუშაოს. შემდეგი არსებითი ხასიათის პრობლემები შეიძლება გამოიყოს უმაღლესი სასწავლებლების შემთხვევაში: სასწავლო პროგრამების დაბალი დონე; არაკვალიფიციური პედაგოგები; საერთაშორისო პუბლიკაციებთან ხელმიუწვდომლობა; სასწავლო კომპონენტის ფარგლებში შესაბამისი პროფესიული პრაქტიკის არქონა.

- პროფესიონალი გიდების ნაკლებობა, განსაკუთრებით სამთო გიდი.

სამთო გიდების მომზადება საჭიროებს სპეციფიკურ პროფესიონალურ წვრთნას, რომელიც ტრადიციულ ალპურ ქვეყნებში ხშირად რამოდენიმე წელი გრძელდება (სწავლება და პრაქტიკული მუშაობის კომბინაცია). რამდენადაც საქართველოს ერთ-ერთი მთავარი მიმზიდველობა მისი მთიანი რეგიონებია, აუცილებელია მთის გიდების მომზადების ევროპული გამოცდილების გაზიარება და საწვრთნელი ბაზებისა და სკოლის შექმნა.

სამთო-სათხილამურო კურორტებზე სამაშველო სამსახურის და კვალიფიციური სათხილამურო მწვრთნელების არარსებობა.

წამყვან სათხილამურო ცენტრებში აუცილებელია სასწავლო-სამაშველო ცენტრების შექმნა, სადაც უზრუნველყოფილი იქნება კვალიფიციური კადრების მომზადება, სწავლება-გადამზადება და საჭიროების შემთხვევაში სამაშველო ოპერაციების ორგანიზება-კოორდინაცია.

ტურისტულ პროდუქტთან დაკავშირებული პრობლემებია:

- ერთფეროვანი ტურისტული პროდუქტი.

საჭიროა ტურისტული პროდუქტის დივერსიფიკაცია განვითარების თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით. არსებული შეთავაზება უმრავლეს შემთხვევაში მორალურად დაძველდა და არ პასუხობს თანამედროვე მიმდინარეობების მოთხოვნას.

- მაღალ ფასიანი ტურისტული პაკეტი.

აუცილებელია ტურისტული შეთავაზების დივერსიფიკაცია ფასისა და ტურისტული სეგმენტის გათვალისწინებით. მხოლოდ პაკეტ-ტურები არ არის საკმარისი ადგილობრივი და რეგიონული ბაზრების მოთხოვნის საპასუხოდ. ამისათვის საჭიროა საინფორმაციო ცენტრების ქსელის განვითარება, ინტერნეტის საინფომაციო და ბუკინგ რესურსის სრულად გამოყენება, რათა დავუახლოოთ ერთმანეთს მომხმარებელი და მიმწოდებელი, შევინარჩუნოთ კონკურენტუნარიანი ფასები.

- ტურიზმის განვითარებისათვის ფრიად მნიშნელოვანია ქვეყნის დაბალი ცნობადობა და არასათანადო იმიჯი/ინფორმაციის მისაწვდომობა.

მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვის საქართველო ჯერ კიდევ უცნობია. საქართველო ჯერ კიდევ არ აღიქმება ტურისტულ ქვეყნად და იგი მაინც უცნობი რჩება ფართო მასებისთვის. ამ მხრივ კიდევ უფრო მასშტაბურად უნდა გაგრძელდეს მუშაობა ქვეყნის საერთაშორისო ბაზარზე პოპულარიზაციის კუთხით. საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის იმიჯის დამკვიდრებისათვის, ასევე ქვეყნის დადებითი იმიჯის პოპულარიზაციის მიზნით საჭიროა კულტურული ღონისძიებების გატარება/გაგრძელება, რომლებიც არცთუ ისე ხშირად იმართება.

მნიშვნელოვანია ტურიზმის მდგრადი განვითარება და **სახელმწიფო მხარდაჭერა.**

- აუცილებელი ტურისტული პრიორიტეტული რეგიონების განსაზღვრა და დაგეგმვისა და მართვის კოოპერაციის გაუმჯობესება სახელმწიფო სტრუქტურებს, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს, კერძო ბიზნესსა და მოსახლეობას შორის, რათა ჩამოყალიბდეს ტურისტული რეგიონების განვითარების ერთიანი ხედვა; მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი ამოცანებისა და ქმედებების გათვალისწინებით;
- სასურველია შემუშავდეს ფინასური ხელშეწყობის მექანიზმები, ადგილობრივი ტურისტული რესურსის განვითარებისათვის: მაგ. კვლავ ამოქმედდეს მიზნობრივი დანიშნულების იაფი სესხი სისტემა და სხვა შეღავათიანი საკრედიტო პაკეტები;
- საგადასახადო კანონმდებლობაში ასახული იქნას ტურიზმის სპეციფიკა და მოხდეს გადასახადების ლიბერალიზაცია. კვების ობიექტისა და განთავსების საშუალების მეპატრონეს დანახარჯების აღრიცხვისას ჰქონდეს საშუალება პირდაპირ, დაბეგრის გარეშე შეიძინოს სოფლის მეურნეობის პროდუქტი გლეხისგან.

დღეს დგას **ხელმისაწვდომობის პრობლემაც.** კერძოდ,

- დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანიების სიმცირე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ავიარეისებს ახორციელებს რამოდენიმე წამყვანი ქვეყნის ავიაკომპანია, აგრეთვე ფრენებს ახორციელებს თურქული დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანია Pegasus რაც საქართველოს ბაზრისთვის საკმარისი არ არის.

- საკრუიზო მიმოსვლის არასათანადო მასშტაბი.

ტურისტთა უმრავლესობა საქართველოში ჩამოდის საჰაერო გზით. თუმცაღა ქვეყნის ტურიზმის განვითარებისთვის არსებითად მნიშვნელოვანი იქნება საკრუიზო მიმოსვლის აღდგენა-გააქტიურება.

- სარკინიგზო ტრანსპორტი.

მატარებლების მოძრაობის გრაფიკები და ბილეთის ფასები შეტანილ უნდა იქნას საქართველოს რკინიგზის ვებ-გვერდზე, რომელიც დაკავშირებული უნდა იყოს რაც შეიძლება ბევრ ქართულ ვებ-გვერდთან, მათ შორის საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან.

სამწუხაროდ ჯერ კიდევ შეინიშნება კოორდინაციის ნაკლებობა. მიუხედავად ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების დაჩქარებული ტემპებისა, სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის არსებობს კოორდინაციის დეფიციტი, შესაბამისად წარმოიშვება ინფორმაციული ვაკუუმი. აუცილებელია სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ხდებოდეს სისტემური შეხვედრები.[14]

თავი III. ევროკავშირის ქვეყნებთან საერთაშორისო ტურიზმის ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი

3.1 საქართველოსა და ევროკავშირს შორის ტურიზმი-ვიზის ლიბერალიზაციის გავლენა ქვეყნის ტურიზმზე

ვიზა ლიბერალიზაცია გულისხმობს უვიზოდ მიმოსვლას ქვეყანაში, რაც შესაბამისად, ამარტივებს და ხელს უწყობს ტურიზმის ზრდას.

საქართველომ საკუთარი ლიბერალური სავიზო პოლიტიკის გატარება დაიწყო 2006 წლის 1 ივნისიდან, როდესაც ძალაში შევიდა «საქართველოს კანონი უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ». ამ კანონის თანახმად, ევროკავშირის და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მოქალაქეებს მოეხსნათ სავიზო შეზღუდვები და მიეცათ საქართველოში თავისუფლად შემოსვლისა და გადაადგილების უფლება 90 დღის ვადით. მოგვიანებით 90-დღიანი ვადა გაიზარდა 360 დღემდე და დღეს მსოფლიოს 80-ზე მეტი ქვეყნის მოქალაქეს თავისუფლად შეუძლია ვიზის გარეშე შემოვიდეს და თითქმის ერთი წლის მანძილზე დარჩეს საქართველოში, დამატებითი დოკუმენტების ან ნებართვის გარეშე.[15]

---

[14] ნ. აბესაძე, რ. ქინქლაძე, ქ.ჩიტალაძე სტატისტიკა ტურიზმისათვის. თბ.2018. გვ 318-328

[15] ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი-ვიზის ფასილიტაცია და რეადმისია: უვიზო მიმოსვლის პერსპექტივები-გვ.8

სწორედ ამიტომ, საინტერესო იქნება თუ განვიხილავთ ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში მოქალაქეთა შემოსვლის დინამიკას ორი პერიოდისათვის: 2006 წლამდე და 2006 წლიდან დღემდე. რამდენადაც 2006 წელი მნიშვნელოვანია საქართველოს მიერ ევროკავშირთან ცალმხრივად განხორციელებული ვიზის ლიბერალიზაციის გამო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 2004-2011 წლებში ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან საქართველოში შემოსულ მოქალაქეთა რაოდენობა მთლიანობაში 653 344 კაცს შეადგენს, საიდანაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელი შემდეგ ქვეყნებზე ნაწილდება:

გერმანია – 109 457

საბერძნეთი – 94 581

დიდი ბრიტანეთი – 74 258

საფრანგეთი – 50 625

ბულგარეთი – 47 902.

ამ მხრივ ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვთ კვიპროსს (1 774), მალტას (615) და ლუქსემბურგს (544).

ცხრილი 8.

ევროკავშირის ქვეყნები	2004-2011	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
ავსტრია	17166	899	2259	1592	2376	2614	1794	2488	3144
გელგია	11355	734	978	1043	1287	1309	1622	1991	2391
გულგარეთი	47902	1428	2653		9104	8547	7123	8738	10309
გერმანია	109457	7019	8840	11076	14081	13267	15351	17619	22204
დანია	7741	681	707	752	934	856	1033	1341	1437
დიდი ბრიტანეთი	74258	5722	6677	8901	9775	8951	10633	10985	12613
ესპანეთი	11342	454	594	835	1167	1322	1585	2229	3156
ესტონეთი	13175	225	552	1104	2102	2482	1754	2207	2749
ირლანდია	5914	518	592	724	759	663	804	884	970
იტალია	34475	1936	2732	4021	4113	3920	4994	5886	6873
კვიპროსი	1774	103	102	159	222	267	202	312	407
ლატვია	20778	320	753	1693	3454	3643	2588	3525	4802
ლიტვა	17243	474	925	1187	2183	3029	2448	2916	4081
ლუქსემბურგი	544	34	53	57	26	72	65	111	126
მალტა	615	26	46	85	53	61	86	167	91
ნიდერლანდები	33881	2300	3095	4063	4143	4054	4145	5198	6883
პოლონეთი	38376	1131	1561	2893	4491	4479	4634	7105	12082
პორტუგალია	2260	216	161	184	199	210	283	448	559
რუმინეთი	10224	422	786		1340	1782	1614	1933	2347
საბერძნეთი	94581	3457	7098	10344	12380	12914	14300	16424	17664
საფრანგეთი	50625	3266	3996	5097	5958	6186	6941	8486	10695
სლოვაკეთი	4926	144	321	475	544	520	861	976	1085
სლოვენია	3644	106	260	979	244	284	410	528	833
უნგრეთი	5487	258	363	573	693	826	808	836	1130
ფინეთი	6175	307	353	448	678	774	936	1223	1456
შვედეთი	13552	686	943	1131	1442	1721	2167	2471	2991
ჩეხეთი	15874	670	1108	1254	1648	1947	2290	3060	3897
სულ	**653344**	**33536**	**48508**	**60670**	**85396**	**86700**	**91471**	**110087**	**136975**

როგორც ვხედავთ, ყოველწლიურად იზრდება 2004-2011 წლებში ევროკავშირიდან შემოსულ ვიზიტორთა რაოდენობა. თუმცა გარდამტეხი მნიშვნელობა აქვს 2006 წელს.

2004-2006 წლებში ზემოთ დასახელებული ხუთივე ქვეყნისათვის (გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი, ბულგარეთი და საფრანგეთი) ზრდის დინამიკა ფიქსირდება. ხუთივე შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 2004-დან 2005 წლამდე უმნიშვნელოდ იზრდებოდა. ხოლო 2006 წლის შემდეგ 2005 წელთან შედარებით ვიზიტორთა რაოდენობამ მკვეთრად

მოიმატა. ასეთივე სურათი შენარჩუნებულია ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნების შემთხვევაშიც. საქართველოს მხოლოდ ორ ქვეყანასთან აქვს მცირე უარყოფითი დინამიკა, ესენია: ლუქსემბურგი (2005 წ.-53 მოქალაქე, 2007 წ.-26 მოქალაქე) და სლოვენია (2005 წ.-260 მოქალაქე, 2007 წ.-244 მოქალაქე).

2007-2011 წლებში დასახელებული ხუთი ქვეყნიდან ორ მათგანთან – საბერძნეთი და საფრანგეთი–ცალსახად ზრდის ტენდენცია შეინიშნება, ხოლო გერმანიის, დიდი ბრიტანეთისა და ბულგარეთის შემთხვევაში არის ჩავარდნები, ძირითადად, 2008 წელს (მაგალითად, გერმანია: 2007 წ. – 14 081 მოქალაქე, 2008 წ. – 13 267 მოქალაქე), თუმცა შემდეგ წლებში რაოდენობა ისევ იზრდება.

აღნიშნულ პერიოდში საქართველოში ჩამოსული მოქალაქეების რაოდენობა, საბოლოო ჯამში, მაინც ბევრად აღემატება წინა პერიოდის მონაცემებს.

2004-2005 წლებში ჯამურად შემოვიდა 82 044 კაცი, მაშინ როდესაც 2007-2008 წლებში ცალმხრივი ვიზა ლიბერალიზაციის შემდეგ შემოვიდა 2-ჯერ მეტი, 172 096 კაცი. 2007 წელს 2005 წელთან შედარებით ვიზიტორთა რაოდენობა 76.0%-ით გაიზარდა. მსგავსი ტენდენციაა შენარჩუნებული მომდევნო წლებშიც. გრაფიკიდანაც კარგად ჩანს აღნიშნული დინამიკა.

დიაგრამა 8.



მთლიანობაში, ევროკავშირის ყველა ქვეყნიდან ვიზიტორთა რიცხვმა საქართველოში მნიშვნელოვნად იმატა. მაგალითისთვის, თუ 2005 წელს სულ შემოვიდა 48 508 პირი, 2011 წელს ეს რიცხვი 136 975-მდე, ანუ თითქმის სამჯერ გაიზარდა.

ბოლო წლებში საქართველოში ევროკავშირის მოქალაქეთა ნაკადის მნიშვნელოვანი ზრდა, შესაძლოა, განვიხილოთ აღნიშნული ლიბერალური სავიზო პოლიტიკის დამსახურებად.

მნიშვნელოვანია კიდევ ერთი ფაქტი, 2017 წლის 8 მარტს ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნდა ევროკავშირის საბჭოს რეგულაციის ცვლილება, რომლის თანახმად, საქართველომ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის მქონე ქვეყნების სიაში გადაინაცვლა. შესაბამისად, 2017 წლის 28 მარტიდან საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ფლობენ ბიომეტრიულ პასპორტს, შეძლებენ ვიზის გარეშე ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში გამგზავრებას.

უვიზო რეჟიმი გულისხმობს თავისუფალ გადაადგილებას შენგენის ზონის ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს ევროკავშირის 22 წევრ ქვეყანას, ევროკავშირის 4 არაწევრ ქვეყანას და შენგენის 4 კანდიდატ ქვეყანას:

წევრი ქვეყნები: ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდი, პოლონეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, ჩეხეთი.

არაწევრი ქვეყნები: ისლანდია, ლიხტენშტაინი, ნორვეგია და შვეიცარია;

კანდიდატი ქვეყნები: ბულგარეთი, კვიპროსი, რუმინეთი, ხორვატია;[16]

მოცემულ შემთხვევაში განვიხილოთ საქართველოდან ევროკავშირში გასვლის დინამიკა, თუ როგორ შეიცვალა გასვლების რაოდენობა ვიზა ლიბერალიზაციის შემდეგ.

ცხრილი 9.

	2013	2014	2015	2016	2017	2018
გასვლა	3 219 622	3 105 770	3 135 969	3 399 887	3 850 867	3 697 152

აშკარაა, რომ ზრდადია გასვლის ტენდენცია 2014 და 2018 წლების გარდა. თუ გამოვთვლით აბსოლუტურ მატებებს მივიღებთ შემდეგ სურათს:

[16] იხ: http://www.mfa.gov.ge/visa-free-guide.aspx

დიაგრამა 9.



როგორც ჩანს, 2018 წელს 2017 წელთან შედარებით შემცირებულია გასვლების რაოდენობა, მაგრამ მნიშვნელოვნადაა გაზრდილი მათი რაოდენობა 2017 წელს წინა წელთან შედარებით. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 2017 წელს მარტში იქნა მიღებული ვიზა ლიბერალიზაცია და შედეგად მთელი წლის განმავლობაში გაიზარდა გასვლების რაოდენობა, 2018 წელს კი დასტაბილურდა სიტუაცია. 2018 წელი რომ შევადართ 2016 წელს ამ შემთხვევაში გვაქვს ზრდა-297 265 ვიზიტით მეტია. რეკორდული რაოდენობა გასვლების 2017 წელს დაფიქსირდა, რაც შეგვიძლია მოცემული მოვლენის შედეგად ჩავთვალოთ.

3.2 ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული ნაკადების სტატისტიკური კვლევა

ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული ნაკადების ანალიზისთვისაც ასევე გამოვიყენე სამი წყარო: შინაგან საქმეთა სამინისტროს, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა ბაზები. საქართველოში ევროკავშირიდან შემოსული ტურისტები 2011-2018 წლის მონაცემების მიხედვით შემდეგნაირია:

ცხრილი 10.

	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
სულ	1 832,8	2 459,8	2 884,3	2 938,9	3 011,7	3 297,3	4 069,4	4 756,8
ევროკავშირის ქვეყნები (ათასი კაცი)	108,5	136,4	163,9	183,9	198,2	219,5	269,9	368,1

სტატისტიკური მაჩვენებლის დინამიკის, დროში განვითარების დასახასიათებლად გამოვიყენოთ დინამიკური (დროითი) მწკრივის საანალიზო მაჩვენებლები: აბსოლუტური მატება, საშუალო აბსოლუტური მატება, დინამიკური მწკრივის ზრდისა და მატების ტემპები, საშუალო წლიური ზრდისა და მატების ტემპები.

აბსოლუტური მატება არის სხვაობა მომდევნო და წინა დონეებს შორის. თუ წინა დონედ აღებულია ერთი რომელიმე დონე, მაშინ გვაქვს საბაზისო აბსოლუტური მატება, ხოლო თუ თითოეულ დონეს აკლდება მისი მომიჯნავე წინა დონე, მაშინ გვაქვს ჯაჭვური აბსოლუტური მატება.

ჯაჭვური აბსოლუტური მატება გვიჩვენებს, რამდენით იზრდება/მცირდება დინამიკის ყოველი მომდევნო დონე წინა დონესთან შედარებით. საბაზისო აბსოლუტური მატება კი გვიჩვენებს რამდენით იზრდება/მცირდება დინამიკის ყოველი მომდევნო დონე პირველ დონესთან შედარებით.

გავიანგარიშოთ აბსოლუტური მატება ევროკავშირიდან შემოსული ტურისტული ნაკადებისთვის, როგორც გრაფიკიდან ჩანს, წინა წელთან შედარებით ყოველწლიურად იზრდება ტურისტთა რაოდენობა, ევროკავშირიდან ყოველწლიურად მატება ფიქსირდება, გარდა 2014-2015 წლებისა.

დიაგრამა 10.



ზრდის ტემპი გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ იზრდება დინამიკური მწკრივის ესა თუ ის დონე. ზრდის ტემპიც არის საბაზისო და ჯაჭვური, თუ წინა დონედ მიჩნეულია ერთი რომელიმე უცვლელად, მაშინ მივიღებთ საბაზისო ზრდის ტემპებს, ხოლო თუ ის იცვლება და თითოეულ დონეს ვადარებთ მის მომიჯნავე წინა დონეს, მაშინ შედეგად ვიღებთ ჯაჭვური ზრდის ტემპებს.

ევროკავშირიდან ვიზიტორების მიხედვით:

$$Y_{2012} = 125.7\%$$

$$Y_{2013} = 120.3\%$$

$$Y_{2014} = 112.2\%$$

$$Y_{2015} = 107.8\%$$

$$Y_{2016} = 110.7\%$$

$$Y_{2017} = 123.0\%$$

$$Y_{2018} = 136.4\%$$

დიაგრამა 11.



როგორც ვხედავთ, ყოველწლიურად იზრდება ევროკავშირიდან ტურისტთა რაოდენობა. მაგალითად, 2012 წელს 2011 წელთან შედარებით 125.7%-ჯერ გაიზარდა აღნიშნული მაჩვენებელი. აშკარაა, რომ 2018 წელს დაფიქსირდა ყველაზე დიდი ზრდა-წინა წელთან შედარებით 136.4%-ჯერ გაიზარდა.

გადაწყვეტილებებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მატების ტემპის გამოთვლა, რათა დინამიკაში დავინახოთ მოვლენათა განვითარების ტენდენცია და გავაკეთოთ პროგნოზი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს მონაცემები უნდა იყოს შესადარისი. ამაში გვეხმარება მატების ტემპები და ის გამოიხატება პროცენტულად.

მატების ტემპი არის შეფარდებითი სიდიდე, რომელიც ახასიათებს, თუ რამდენი პროცენტითაა ერთი დონე მეტი ან ნაკლები მეორე დონეზე. ის მიიღება ზრდის ტემპისთვის 100%-ის გამოკლებით.

განვიხილოთ ევროკავშირის მიხედვით მატების ტემპები.

დიაგრამა 12.



2018 წელს ევროკავშირიდან ვიზიტორების რაოდენობა იყო 368.1 ათასი კაცი, რაც წინა წელთან შედარებით 36,4%-ით მეტია. გრაფიკიდან ჩანს, რომ 2011 წლიდან 2018-ის ჩათვლით ყოველ წელს ფიქსირდება ვიზიტორების ზრდა წინა წელთან შედარებით. ყველაზე მცირე ზრდა დაფიქსირდა 2015 წელს, ხოლო რეკორდული ზრდა 2018 წელს 36.4 %.

საშუალო აბსოლუტური მატება (კლება) ახასიათებს მოცემული დრიოს პერიოდში მოვლენის გადიდების, თუ შემცირების საშუალო მნიშვნელობას.

საშუალო აბსოლუტური მატება შემდეგნაირად გამოიყურება:

$$\bar{\Delta} = 37.1$$

მოცემულ შემთხვევაში ევროკავშირიდან ვიზიტორთა რაოდენობა ყოველწლიურად 37 ათასის იზრდება.

ვიზიტორების დემოგრაფიული პროფილი:

2018 წელს ევროკავშირიდან შემოსულ ვიზიტორებში მამაკაცთა რაოდენობა ჭარბობს ქალთა რაოდენობას. ევროკავშირის ყველა ქვეყანაში დაფიქსირდა მსგავსი

ტენდენცია, გარდა ბელგია, იტალია და ლუქსემბრუგისა, სადაც პირიქით, ქალთა რაოდენობა აჭარბებს მამაკაცთა რაოდენობას.

დიაგრამა 13.



2018 წელს ევროკავშირიდან შემოსული ვიზიტორებს შორის დიდ ნაწილს შეადგენს 26-35 წლის კატეგორია, რომელიც ევროკავშირიდან მთლიანი ვიზიტორების 21.7%-ს წარმოადგენს, მას მოსდევს 36-45 წლის კატეგორია 19.4%-ით. ძალიან საინტერესოა ის ფაქტი, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანი წილი მოდის 65 წელს გადაცილებულ ვიზიტორებზე- 11.1%, მაშინ როდესაც ყველაზე მცირე ნაწილს წარმოადგენს 18-25 წლის კატეგორია 6.6%-ით.

დიაგრამა 14.



განვიხილოთ ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად ევროკავშირის ქვეყნების მიხედვით, სადაც 2011-2018 წლების დინამიკაშია 28 ქვეყანა, რომელიც დალაგებულია 2018 წლის მიხედვით ტოპ ათეულად:

ცხრილი 11.

ქვეყანა	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
პოლონეთი	10,906	18,855	33,596	42,660	37,675	40,671	47,604	65,361
გერმანია	16,014	19,766	22,342	24,006	27,444	32,005	41,217	61,422
გაერთიანებული სამეფო	9,802	11,531	11,818	11,628	14,691	14,788	21,540	28,148
საფრანგეთი	7,888	8,989	10,258	9,872	10,583	11,611	15,228	20,491
ლიტვა	3,387	4,503	4,705	9,691	10,809	12,749	14,235	18,425
საბერძნეთი	12,642	13,919	14,921	14,787	13,635	14,456	16,613	18,148
ლატვია	3,759	4,471	4,921	6,526	7,737	9,708	11,554	17,359
ნიდერლანდი	4,894	5,599	6,055	6,589	7,628	8,205	10,734	16,938
იტალია	5,941	7,382	8,228	8,827	10,313	10,968	12,898	16,825
ჩეხეთი	3,298	4,302	5,551	5,307	6,406	7,607	9,002	13,127
ესპანეთი	2,607	3,154	3,967	4,462	5,754	5,550	7,312	10,645
ესტონეთი	2,298	3,657	3,137	2,922	3,275	3,850	5,405	9,808
ავსტრია	2,584	3,922	4,607	5,046	4,653	4,909	6,620	8,877

ბულგარეთი	8,965	9,047	9,313	9,241	8,969	9,974	9,434	8,475
შვედეთი	2,360	2,918	3,222	3,625	4,026	4,538	5,799	7,786
ბელგია	1,788	2,087	2,747	2,963	3,520	3,927	4,680	6,881
რუმინეთი	1,930	2,924	2,760	3,146	3,513	3,615	4,121	6,742
უნგრეთი	947	1,144	1,590	2,292	4,213	5,119	5,567	6,310
სლოვაკეთი	894	1,128	1,658	1,812	2,636	3,280	3,571	5,779
დანია	1,077	1,674	2,071	1,916	2,432	2,787	3,173	4,386
ფინეთი	1,073	1,813	2,167	1,521	2,001	2,466	3,235	4,256
პორტუგალია	416	712	835	1,131	1,626	1,784	2,248	2,884
ირლანდია	664	928	947	1,404	1,430	1,531	3,227	2,776
სლოვენია	741	706	854	918	1,385	1,455	1,974	2,492
კვიპროსი	269	260	328	405	488	528	1,123	1,611
ხორვატია	1,217	755	1,181	949	1,037	1,006	1,351	1,591
ლუქსემბურგი	95	151	154	177	155	210	233	308
მალტა	62	57	64	121	187	191	221	233

ევროკავშირიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობით ლიდერობს შემდეგი ხუთეული:

პოლონეთი-65 361

გერმანია-61 422

გაერთიანებული სამეფო-28 148

საფრანგეთი-20 491

ლიტვა-18 425

2017 წელსაც ლიდერობენ იგივე ქვეყნები, გარდა ლიტვისა, რომელსაც გადააჭარბა საბერძნეთმა.

გერმანია 2011-2018 წლებში ყოველთვის მოწინავე პოზიციებს იკავებდა, საინტერესოა პოლონეთიდან შემომსვლელთა რაოდენობა, რომელიც მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2011 წელს მათი რაოდენობა 10 906 იყო, ხოლო 2018 წელს კი 65 361-ს მიაღწია და პირველობა ჩამოართვა გერმანიას.

ევროკავშირიდან ვიზიტები კვარტლების მიხედვით:

დიაგრამა 15.



ევროკავშირიდან ვიზიტები ძირითადად III კვარტალში, შესაბამისად ზაფხულში ხორციელდება, ხოლო ყველაზე ნაკლები ვიზიტი I კვარტალში-ზამთრის პერიოდში. III კვარტალში ვიზიტების რაოდენობა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 40%-ით.

მთლიან ვიზიტორებში ევროკავშირიდან შემომსვლელთა წილი ყოველწლიურად იზრდება, როგორც ქვემოთ მოცემულ გრაფიკზეა:

დიაგრამა 16.



ევროკავშირიდან შემომსვლელთა რეკორდული რაოდენობა ბოლო წელს (2018) დაფიქსირდა-7.7%.

3.3 ევროკავშირის ქვეყნებში გასული ტურისტული ნაკადების სტატისტიკური კვლევა

ინფორმაციის სრულყოფისა და უკეთ ანალიზის მიზნით ჩავატარეთ კვლევა, რომლის მიზანი იყო დაგვედგინა:

- საქართველოდან ევროკავშირში რა ასაკის ხალხი და რამდენად ხშირად მოგზაურობს.
- რა არის მოგზაურობის ძირითადი მიზანი და რამდენია ვიზიტების საშუალო ხანგრძლივობა.
- რომელ განთავსების საშუალებებს ანიჭებენ უპირატესობას და ძირითადად ვისთან ერთად მოგზაურობენ.
- საშუალოდ რამდენს ხარჯავენ საზღვარგარეთ.

თავდაპირველად განვსაზღვრეთ კვლევის ხერხები და მეთოდები: საკუთრივ-შემთხვევითი და პროპორციული. დავადგინეთ კვლევის დიზაინი, შევადგინეთ ანკეტა და განვსაზღვრეთ მოცვის არეალი.

კვლევა წარმოადგენდა ონლაინ გამოკითხვას, რომლის მიხედვითაც გამოვკითხეთ 350 საქართველოს მოქალაქე. კითხვარი შედგებოდა 16 კითხვისგან, შეგიძლიათ იხილოთ დანართი.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები დავამუშავეთ SPSS-სა და Excel-ში. განვიხილოთ კვლევის ძირითადი შედეგები, მოცემულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 350-მა ადამიანმა, რომელთა 69,6% მდედრობითი, ხოლო დანარჩენი 30.4% მამრობითი სქესის წარმომადგენელია.

დიაგრამა 17.



რაც შეეხება რესპოდენტთა ასაკს, ისინი განაწილდნენ შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

დიაგრამა 18.



როგორც ჩანს, ყველაზე მეტი რესპოდენტის ასაკი არის 18-25 წლის კატეგორიაში, ისინი წარმოადგენენ გამოკითხულთა ნახევარს. შემდეგ მოდის 35.9%-ით 26-35 წლის კატეგორია, ყველაზე მცირე რაოდენობაა 56-65 წლის ინტერვალში.

განათლების დონის მიხედვით სამი ძირითადი კატეგორიაა: საშუალო, პროფესიული, უმაღლესი. მონაცემები შემდეგნაირად განაწილდა: უმაღლესი განათლება აქვს 82.7%-ს, მასმ მოსდევს საშუალო განათლება 14.1%-ით და ბოლოს პროფესიული განათლებაა-3.2%-ით.

კვლევის შედეგების მიხედვით ბოლო 1 წლის განმავლობაში რესპოდენტთა 80.3% იყო საზღვარგარეთ, ხოლო დანარჩენი 19.7 % არსად არ ყოფილა. საინტერესოა ის, რომ საზღვარგარეთ არ მყოფთა უმეტესობა დასაქმებულია, ხოლო უმუშევართა უმეტესობა საზღვარგარეთ იყო, შესაბამისად, ჩვენი კვლევის მიხედვით კონკრეტული კავშირი არ არსებობს დასაქმებასა და მოგზაურობას შორის. ასევე საინტერესოა ის, რომ საზღვარგარეთ მყოფთა ყველაზე მეტი რაოდენობა, 53 % იყო 2-5 ქვეყანაში, შემდეგ მოდის 35 %-ით მხოლოდ ერთ ქვეყანაში ნამყოფები და ბოლოს 12 % იყო 6-10 ქვეყანაში.

დიაგრამა 19.



მიზანი:

ტურისტული მგზავრობის ძირითადი მიზანი განისაზღვრება, როგორც მიზანი, რომლის გარეშეც მგზავრობა არ შედგებოდა. მგზავრობის კლასიფიცირება მისი ძირითადი მიზნიდან გამომდინარე უნდა უკავშირდებოდეს მგზავრობის დროს განხორციელებულ ძირითად აქტივობებს. ეს მიზნები შესაძლოა იყოს შემდეგნაირი:

ცხრილი 12.

1. პირადი		
	1.1.	გართობა, დასვენება, რეკრეაცია
	1.2.	მეგობრებისა და ნათესავების მონახულება
	1.3.	განათლება და ტრენინგი
	1.4.	მკურნალობა, გაჯანსაღება
	1.5.	რელიგია/პილიგრიმობა
	1.6.	შოპინგი
	1.7.	ტრანზიტი
	1.8.	სხვა
2.	ბიზნესი და პროფესიული საქმიანობა	

რაც შეეხება ჩვენ მიერ გამოკითხულთა სტატისტიკას, ის შემდეგნაირია:

დიაგრამა 20.



გამოკითხულთა ვიზიტების უმრავლესობა დასვენება, გართობა, რეკრეაციის მიზნით განხორციელდა (57.3%). სხვა ხშირად ნახსენებ მიზნებს შორისაა პროფესიული/ეკონომიკური საქმიანობა (14.7%), მეგობრებისა და ნათესავების მონახულება (13.3%), განათლების მიღება (8%), ,,შოპინგი“-საქონლის შეძენა პირადი მოხმარებისთვის (5.3%). რესპოდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილი იყო სხვა მიზეზებით, როგორიცაა: მკურნალობა, გაჯანსაღება (0.8%) და რელიგია, მომლოცველობა (0.5%).

რესპოდენტთა უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს და მოგზაურობს მეგობრებთან ერთად-34.3%, მას მოსდევს ოჯახთან/ნათესავებთან ერთად მოგზაურობა-26.3%-ით და ასე შემდეგ ქვემოთ მოცემული დიაგრამის მიხედვით.

დიაგრამა 21.



ანალოგიური განაწილებაა ცალ-ცალკე სქესის მიხედვით, როგორც მდედრობითი, ისე მამრობითი სქესის წარმომადგენლები უპირატესობას ანიჭებენ მეგობრებთან ერთად მოგზაურობას.

ქვეყნები:

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, თუ რომელ ქვეყანაში მოგზაურობს ტურისტთა უმრავლესობა. ჩვენს რესპოდენტებში ყველაზე მოთხოვნადი ქვეყნების ტოპ ათეული შემდეგნაირია:

დიაგრამა 22.



როგორც ჩანს, პრიორიტეტული ევროკავშირის ქვეყნებია. კერძოდ ევროკავშირის ქვეყნებიდან ყველაზე მოთხოვნადი აღმოჩნდა:

დიაგრამა 23.



მოცემული გრაფიკებიდან აშკარად გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ დასასვენებელ ადგილებში ლიდერობს გერმანია როგორც ევროკავშირის ქვეყნებში, ისე ზოგადად მთელი მსოფლიოს ქვეყნებში. მას მოსდევს იტალია და საფრანგეთი. დანარჩენ ევროკავშირის ქვეყნებში გავიდა 32.3%.

სატრანსპორტო საშუალებები:

ტრანსპორტი ასრულებს აგრეთვე დიდ როლს ტურისტებისთვის. სატრანსპორტო საშუალებების განვითარება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ტურიზმს. პრაქტიკაში არსებობს 4 ძირითადი სატრანსპორტო საშუალება:

- ✓ საჰაერო
- ✓ სარკინიგზო
- ✓ სახმელეთო
- ✓ საზღვაო

დიაგრამა 24.



როგორც კვლევის შედეგებს ვხედავთ, აშკარაა, რომ საჰაერო სატრანსპორტო საშუალებით ისარგებლა რესპოდენტთა 92.5%-მა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის

ტურიზმის განვითარებისთვის საჰაერო ტრასპორტის ხელშეწყობა და გაუმჯობესება ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი უნდა იყოს.

საქართველოს საერთაშორისო აეროპორტები:

დიაგრამა 25.



საქართველოში დღესდღეობით ფუნქციონირებს 3 საერთაშორისო აეროპორტი: თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის. ჩატარებული კვლევის მიხედვით გამოიკვეთა ერთ-ერთი საინტერესო ფაქტი ის, რომ მოცემული აეროპორტებიდან ლიდერობს ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი-მისი წილი ნახევარზე მეტია და შეადგენს 69.2%-ს, მას შემდეგაა 57.5%-ით თბილისის საერთაშორისო აეროპორტი და ბოლოოს ძალიან მცირე წილით, სულ რაღაც 1.3%-ით არის ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი.

ავიაკომპანიები:

შეგვიძლია ასევე გავეცნოთ ყველაზე მოთხოვნადი ავიაკომპანიების სიას. გამომდინარე იქიდან, რომ აეროპორტებს შორის ლიდერობს ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი, ამიტომ პირველ ადგილს იკავებს Wizz Air-ის ავიაკომპანია. ამის ყველაზე მთავარი მიზეზია ხელმისაწვდომი და იაფი ფასები.

დიაგრამა 26.



შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რესპოდენტთა უმრავლესობისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია ბილეთების ფასები, რადგან Wizz air სხვა კომპანიებისგან ძირითადად განსხვავდება იაფი ფასებით.

განთავსების საშუალებები და მოგზაურობის საშუალო ხანგრძლივობა:

ვიზიტორებს ღამისთევით სჭირდებათ რაიმე ტიპის განთავსების საშუალება, სადაც ისინი შეძლებენ ღამის გატარებას. ხშირ შემთხვევაში განთავსება მათი მგზავრობის მთლიანი ხარჯების უდიდეს წილს შეადგენს. ტურიზმის პოლიტიკის დიდი ნაწილი სასტუმროებისა და განთავსების სხვა ტიპების განვითარებას ეთმობა. სტატისტიკა ვიზიტორების მიერ გამოყენებული განთავსების საშუალებების შესახებ მნიშვნელოვანია, რადგან ეს ინფორმაცია საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ პროგნოზი იმის თაობაზე თუ რ ომელ განთავსების ტიპზეა მოთხოვნა.

დიაგრამა 27.



განთავსების საშუალებების ასაკის მიხედვით განხილვისას მივიღეთ, რომ სასტუმროს ტიპს ანიჭებს უპირატესობას ნებისმიერი ასაკის წარმომადგენელი, მაშინ როცა ჰოსტელი მიმზიდველია უფრო ახალგაზრდა თაობისთვის, 18-35 წლამდე.

2018 წელს ვიზიტორების საშუალო ღამისთევების რაოდენობა 11 ღამეს შეადგენს. თუ მათ დავაჯგუფებთ და განვიხილავთ ჯგუფების მიხედვით, შემდეგ მაჩვენებლებს მივიღებთ:

ცხრილი 13.

	რაოდენობა	**პროცენტული წილი**
2-4 დღე	48	19.4%
5-7 დღე	82	33.1%
8-15 დღე	48	19.4%
16-30 დღე	25	10.1%
ერთ თვეზე მეტი	45	18.1%

მათ შორის ყველაზე მეტი ღამისთევა (70.4%) სასტუმროში განხორციელდა, მეოთხედზე მეტი (26.9%) კი სასტუმრო სახლში. ასევე პოპულარულია ახლობლის ბინა და

ჰოსტელი, ხოლო სხვა ტიპის განთავსების საშუალებები ნაკლებად გამოიყენება ვიზიტორებს შორის.

ხარჯები:

ვიზიტორების დანახარჯების ყველაზე მეტი წილი მოდის 500-1000 ლარის ინტერვალზე (38.2%), შემდეგ მოდის 23.5%-ით 1000-1500 ლარის ინტერვალი.

დიაგრამა 28.



დანახარჯების ყველაზე დიდი წილი განთავსების საშუალებებზე-44.3% და საყიდლებზე (37.7%) დაფიქსირდა. ასევე მნიშვნელოვანი წილით იყო წარმოდგენილი ტრანსპორტის დანახარჯები (35.2%).

დიაგრამა 29.



კვლევიდან მიღებული შედეგების ანალიზისას საინტერესოა სხვადასხვა კითხვების გაერთიანება ანუ კროსტაბულაციური ანალიზი. შევეცადე გამომეყო საინტერესო დეტალები კითხვარიდან მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

საინტერესო იქნება სქესის მიხედვით თუ განვიხილავთ სხვადასხვა მაჩვენებელს. მაგალითად, აეროპორტებიდან ქუთაისის აეროპორტს ანიჭებს უპირატესობას როგორც მდედრობითი, ისე მამრობითი სქესი:

ცხრილი 14.

	თბილისის საერთაშორისო აეროპორტი	**ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი**	**ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი**
მდედრობითი	97	2	115
	45.3%	0.9%	53.7%
მამრობითი	39	1	50
	43.3%	1.1%	55.6%

რაც შეეხება ვისთან ერთად მოგზაურობენ, ორივე სქესის უმრავლესობა მოგზაურობს მეგობრებთან ერთად, შემდეგ ოჯახთან, თუმცა რაც თანამშრომლებთან ერთად მოგზაურობს მამრობითი სქესის მეტი წარმომადგენელი (17.7%), ვიდრე მდედრობითის (8.6%).

ცხრილი 15.

	თანამშრომლებთან/კოლეგებთან ერთად	**მარტო**	**მეგობრებთან ერთად**	**ოჯახის წევრებთან/ნათესავებთან ერთად**
მდედრობითი	15	21	76	62
	8.6%	12.1%	43.7%	35.6%
მამრობითი	14	14	31	20
	17.7%	17.7%	39.2%	25.3%

ასევე საინტერესოა სქესის მიხედვით ხარჯების წილი, ორივე სქესი ხარჯების ყველაზე მეტ წილს ხარჯავს განთავსების საშუალებებზე, თუმცა განსხვავდება სხვა ხარჯების კატეგორიები, მაგალითად, მამრობითი სქესი ხარჯავს უფრო მეტს გასართობ, გამაჯანსაღებელ, კულტურულ და სპორტული ღონისძიებებსა და ხანგძლივი მოხმარების ნივთების შეძენაზე (კომპიუტერი, მანქანა და ა.შ.), ვიდრე საპირისპირო სქესი, მაშინ როცა მდედრობითი სქესი ხარჯავს საყიდლებზე უფრო მეტს.

კვლევის საფუძველზე შეგვიძლია შემდეგი ანალიზის ჩატარება:

ცხრილი 16.

	თანამშრომლებთან/კოლეგებთან ერთად	მარტო	მეგობრებთან ერთად	ოჯახის წევრებთან/ნათესავებთან ერთად
18-25	9.1%	15.5%	46.4%	29.1%
26-35	11.4%	13.3%	41.0%	34.3%
36-45	16.1%	12.9%	38.7%	32.3%
46-55	16.7%	0.0%	16.7%	66.7%
56-65	100.0%	0.0%	0.0%	0.0%

ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით, როგორც ჩანს, 18-დან 45 წლამდე მოქალაქეები უპირატესობას ანიჭებს მეგობრებთან ერთად მოგზაურობას, მაშინ როდესაც 46-55 წლის კატეგორია ოჯახთან/ნათესავებთან ერთად მოგზაურობს, ხოლო 56-65 წლის კი თანამშრომლებთან/კოლეგებთან ერთად.

საინტერესოა თუ განვიხილავთ ეკონომიკურ სტატუსსა და ხარჯებს შორის კავშირს:

	დაქირავებული	თვითდასაქმებული	სტუდენტი	დიასახლისი	უმუშევარი
0-500 ლარი	15.3%	17.9%	18.3%	20.0%	12.5%
501-1000 ლარი	40.0%	35.7%	43.7%	60.0%	37.5%
1001-1500 ლარი	24.1%	25.0%	22.5%	20.0%	25.0%
1501 და მეტი ლარი	20.6%	21.4%	15.5%	0.0%	25.0%

როგორც ვხედავთ, 501-1000 ლარის კატეგორია ლიდერობს ნებისმიერი ეკონომიკური სტატუსის მქონდე მოქალაქეებში, ესენია დაქირავებული, თვითდასაქმებული, სტუდენტი, დიასახლისი და უმუშევარი. დიასახლისები ძირითადად ხარჯავენ 1500 ლარზე ნაკლებს.

კმაყოფილება:

მნიშვნელოვანია კვლევისას გათვალისწინებულ იქნას ტურისტის კმაყოფილება, რადგან სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს შემდეგში განმეორებით ვიზიტს მოცემულ ქვეყანაში.

დიაგრამა 30.

	პროცენტული წილი
ძალიან კმაყოფილი	55.1%
კმაყოფილი	41.3%
არც კმაყოფილი, არც უკმაყოფილო	2.4%
უკმაყოფილო	0.4%
ძალიან უკმაყოფილო	0.4%
მიჭირს პასუხის გაცემა	0.8%

როგორც ჩვენი გამოკვლევიდან ირკვევა, რესპოდენტთა ნახევარზე მეტი (55.1%) ძალიან კმაყოფილია თავისი ვიზიტით, ხოლო ზოგადად კმაყოფილი გამოკითხულთა უმრავლესობაა-96.4%, რაც ძალიან პოზიტიური შედეგია.

დასკვნა

ქვეყანაში ტურიზმის განვითარება მჭიდრო კავშირშია ქვეყნის აღმავლობასთან. მისი განვითარებით იზრდება მოცემულ სფეროში მომუშავე ადამიანების რაოდენობა და შემოსავლის დონე, რაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ეკონომიკის განვითარებისთვის. იმისათვის, რომ გატარდეს შესაბამისი პოლიტიკა საჭიროა სანდო და უტყუარი ინფორმაციის არსებობა.

განვიხილავთ იმ ძირითად შედეგებს, რაც მოცემული თემის ანალიზისას მივიღეთ:

- როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე ევროკავშირიდან ვიზიტორთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება და შესაბამისად, მატულობს ევროკავშირიდან შემომსვლელთა პროცენტული წილი მთლიან ვიზიტორთა რაოდენობაში.
- 2018 წელს საერთაშორისო ვიზიტების 72.9% წარმოადგენდა განმეორებით ვიზიტს, ხოლო 27.1% კი პირველადს. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ტურისტები კმაყოფილები არიან საქართველოში ვიზიტით და სწორედ ამიტომ არის დიდი წილი განმეორებითი ვიზიტების.
- 2019 წელს, რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის, მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქართველოში რუსი ტურისტების შემოსვლის აკრძალვასთან დაკავშირებით დიდ გავლენას მოახდენს ტურისტთა რაოდენობაზე, რადგან რუსეთი შემომსვლელთა რაოდენობის მიხედვით პირველ ადგილზეა (20.9%-ით). ტურისტების რიცხვის მკვეთრი შემცირება უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე, თუ არ მოხდა სხვა ქვეყნიდან შემომსვლელთა რაოდენობის ზრდა.
- საერთაშორისო ვიზიტორებს შორის მამრობითი სქესი ჭარბობს მდედრობითს, მსგავსი კანონზომიერებაა ევროკავშირის ქვეყნებიდანაც.
- ევროკავშირდან განხორციელებული ვიზიტები ხასიათდება ზრდადი ტენდენციით, ყველაზე მეტი მატება დაფიქსირდა 2018 წელს წინა წელთან შედარებით.
- ასაკობრივ კატეგორიებს შორის საერთაშორისო ვიზიტორებში ლიდერობს 31-50 წელი, ევროკავშირიდან შემომსვლელებში 26-65 წელი.
- საერთაშორისო ვიზიტების მიხედვით ლიდერი ქვეყანაა რუსეთი.

- ევროკავშირიდან ვიზიტების მიხედვით ლიდერია პოლონეთი.
- კმაყოფილების ხარისხი მაღალია: საერთაშორისო შემომსვლელ ვიზიტორებში მხოლოდ 1.7%-ია უკმაყოფილო.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით საინტერესო შედეგები მივიღეთ:

- ბოლო 1 წლის განმავლობაში რესპოდენტთა 80.3% იყო საზღვარგარეთ, ხოლო დანარჩენი 19.7 % არ ყოფილა ქვეყნის ფარგლებს გარეთ. საზღვარგარეთ მყოფთა ნახევარზე მეტი (53%) იყო 2-5 ქვეყანაში.
- რა თქმა უნდა, მოგზაურობის მთავარი მიზანი იყო დასვენება, გართობა, რეკრეაცია.
- ყველაზე პოპულარული ქვეყნები კი აღმოჩნდა გერმანია, იტალია და საფრანგეთი, სადაც რესპოდენტების უმრავლესობა (69.2%) ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან მიემგზავრება. გამომდინარე იქიდან, რომ Wizz air ახორციელებს ყველაზე იაფ ფრენებს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოსახლეობისთვის პრიორიტეტულია დაბალი ფასებია.
- ევროკავშირში გამსვლელ საქართველოს რეზიდენტებში ლიდერობს 18-35 წლის ასაკობრივი ჯგუფი.
- მნიშვნელოვანია კვლევისას გათვალისწინებულ იქნას ტურისტის კმაყოფილება, რადგან სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს შემდეგში განმეორებით ვიზიტს მოცემულ ქვეყანაში. რესპოდენტთა ნახევარზე მეტი (55.1%) ძალიან კმაყოფილია თავისი ვიზიტით, ხოლო ზოგადად კმაყოფილი გამოკითხულდა უმრავლესობაა, უკმაყოფილოა მხოლოდ 0.8%.

ტურიზმის ხელისშემშლელი ფაქტორების ანალიზი მნიშვნელოვანია. იმისათვის, რომ დავადგინოთ საქართველოში ტურიზმის რომელი სახეობის განვითარებაზე აჯობებს ორიენტაციის აღება, მნიშვნელოვანია შევისწავლოთ როგორც არსებულ, ისე პოტენციურ ვიზიტორთა მოთხოვნილებები.

რეგიონებსა და სოფლად ტურიზმის პოტენციალის გასაზრდელად აუცილებელია განვითარდეს რეგიონული საგზაო ქსელი, გაუმჯობესდეს ინფრასტრუქტურა. ღირშესანიშნაობამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია და ტრანსპორტი

მნიშვნელოვანია, რადგან ბევრ ისტორიულ ძეგლამდე მისასვლელი გზა ცუდ მდგომარეობაშია.

კვლევების მიხედვით დადგინდა, რომ ვიზიტორების ხარჯების დიდ ნაწილს შეადგენს განთავსების საშუალებებზე დანახარჯები, ამიტომაც მეტი ტურისტის მოსაზიდად მნიშვნელოვანია არსებობდეს დაბალბიუჯეტური სასტუმროები და სხვა განთავსების საშუალებები.

მნიშვნელოვანია ტურიზმის მდგრადი განვითარება და სახელმწიფო მხარდაჭერა. სასურველია შემუშავდეს ფინასური ხელშეწყობის მექანიზმები, ადგილობრივი ტურისტული რესურსის განვითარებისათვის.

შესაბამისად, მოცემული სამაგისტრო ნაშრომი პოზიტიური დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა და შეგვიძლია თამამად, ვთქვათ, რომ ტურიზმი საქართველოსთვის ერთ-ერთი წამყვანი სფეროა, რომელსაც უფრო განვითარება და გაუმჯობესება ესაჭირეობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბესაძე ნ, ქინქლაძე რ, ჩიტალაძე ქ, სტატისტიკა ტურიზმისათვის, თბილისი 2018, გვერდი 448
2. აბესაძე ნ, მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის ტურიზმის სტატისტიკის რეკომენდაციების დანერგვის პრობლემები საქართველოში, I საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია, ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი, ბათუმი 2012
3. აბესაძე ნ, გლობალური ინდექსები და ტურიზმის განვითარება საქართველოში, სტატისტიკის სწავლება და სტატისტიკური კვლევები საქართველოში, თბილისი 2018, გვ. 22-23
4. ახვლედიანი ნ, ვირსალაძე ნ, ონიანი ი-ტურიზმის სფეროს ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი და ძირითადი მიმართულებები, სტატისტიკის სწავლება და სტატისტიკური კვლევები საქართველოში, თბილისი 2018, გვ. 51-52
5. ევროპული ინიციატივა ლიბერალური აკადემია, ვიზის ფასილიტაცია და რეადმისია: უვიზო მიმოსვლის პერსპექტივები, თბილისი 2012
6. მარშავა ქ, კიკორია გ, ტურიზმის განვითარება და ეკონომიკური ზრდა, სტატისტიკის სწავლება და სტატისტიკური კვლევები საქართველოში, თბილისი 2018, გვ. 114-116
7. მეტრეველი მ, ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა, ფავორიტი პრინტი, თბილისი 2014
8. საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის 2008 (International Recommendations for Tourism Statistics 2008), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (UNWTO), ნიუ იორკი 2010
9. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, გზამკვლევი ევროკავშირის/შენგენის სივრცეში უვიზო მიმოსვლისთვის, თბილისი 2017.
10. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში, თბილისი 2005 - http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--..-4----4---0-1l--11-en-10--

-10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-10&cl=CL1.3&d=HASH91d740a344d40d08e402b7.8&x=1

11. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ტურიზმის ბაზარი საქართველოში, თბილისი 2005 - http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL1.3&d=HASH91d740a344d40d08e402b7.3&gt=2
12. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ტურიზმის ინდიკატორები,თბილისი 2005 - http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4.1&d=HASH47f92b17d87b8ebb33c1d4.8.4&gt=1
13. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური-https://www.geostat.ge/ka
14. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში და მსოფლიო გამოცდილება, თბილისი 2016
15. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია-https://gnta.ge/
16. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საერთაშორისო ვიზიტორების კვლევა, თბილისი 2018
17. შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა სტატისტიკური მონაცემები, თბილისი 2018
18. შინაგან საქმეთა სამინისტრო-https://police.ge/
19. European Commission-Visa liberalisation with Moldova, Ukraine and Georgia
20. International Recommendations for Tourism Statistics 2008. Department of Economic and Social Affairs Statistics Division. New York, 2010.
21. Methodological manual for tourism statistics, Eurostat, 2014.

დანართი

საქართველოდან ევროკავშირში გამსვლელი ტურიზმის კვლევის კითხვარი:

---

1. სქესი

□ მდედრობითი

□ მამრობითი

2. ასაკი

□ 18-25

□ 26-35

□ 36-45

□ 46-55

□ 56-65

3. თქვენი განათლების დონე

□ საშუალო

□ უმაღლესი/აკადემიური ხარისხი(დოქტორი)

□ პროფესიული (ტექნიკური)

4. თქვენი ეკონომიკური აქტივობის სტატუსი?

□ დაქირავებული

□ თვითდასაქმებული

□ სტუდენტი

□ პენსიონერი

□ უმუშევარი

□ დიასახლისი

5. ბოლო 1 წლის განმავლობაში რამდენ ქვეყანაში იყავით საზღვარგარეთ?

□ 1

□ 2-5

□ 5-10

არცერთი (დაასრულეთ კითხვარი-submit)

---

6. რომელი სატრანსპორტო საშუალებით ისარგებლეთ?

□ საჰაერო

□ სარკინიგზო

□ სახმელეთო

□ საზღვაო

7. რომელი ავიაკომპანიით ისარგებლეთ?

□ Georgian Airways

□ Wizz air

□ Turkish Airlines

□ Pegasus

□ Flydubai

□ Qatar Airways

8. საქართველოს რომელი საერთაშორისო აეროპორტით ისარგებლეთ?

□ თბილისის საერთაშორისო აეროპორტი

□ ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი

□ ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი

9. რომელ ქვეყანაში/ქვეყნებში იყავით ბოლო 1 წლის განმავლობაში?

10. ძირითადად ვისთან ერთად მოგზაურობთ?

□ მარტო

□ მეგობრებთან ერთად

□ ოჯახთან/ნათესავებთან ერთად

□ თანამშრომლებთან/კოლეგებთან ერთად

Other:

11. რა იყო თქვენი ვიზიტის ძირითადი მიზანი?

□ დასვენება, გართობა, რეკრეაცია

□ მეგობრების/ნათესავების მონახულება

□ განათლების მიღება

□ მკურნალობა, გაჯანსაღება

□ რელიგია/მომლოცველობა

□ ,,შოპინგი“, საქონლის შეძენა პირადი მოხმარებისთვის

□ პროფესიული/ეკონომიკური საქმიანობა

12. საშუალოდ რამდენი ღამე გაათიეთ მოცემულ ქვეყანაში/ქვეყნებში?

13. რომელ განთავსების საშუალებას ანიჭებთ უპირატესობას?

□ სასტუმრო

□ ჰოსტელი

□ სასტუმრო სახლი

□ ახლობლის ბინა

14. თქვენი ხარჯებიდან ყველაზე მეტი წილი რომელ მათგანზე მოდის?

□ განთავსების საშუალება

□ გასართობი, გამაჯანსაღებელი, კულტურული და სპორტული ღონისძიებები

□ საყიდლები

□ კომერციული შესყიდვები - (საქონლის შეძენა შემდგომი გაყიდვის მიზნით)

□ ტრანსპორტი

□ უძრავი ქონების შეძენა

□ ხანგრძლივი მოხმარების ნივთების შეძენა-(კომპიუტერი, მანქანა და ა.შ.)

□ ძვირფასი ნივთების შეძენა-(ნახატები, ხელოვნების ნიმუშები და ა.შ)

□ კვება

15. საშუალოდ რამდენ ლარს ხარჯავთ საზღვარგარეთ მოგზაურობისას (არ მოიცავს ბილეთების

ხარჯებს)?

□ 0-500

□ 500-1000

□ 1000-1500

□ 1500>

16. რამდენად კმაყოფილი ხართ მოცემულ ქვეყანა/ქვეყნებში ვიზიტით?

□ ძალიან კმაყოფილი

□ კმაყოფილი

□ არც კმაყოფილი, არც უკმაყოფილო

□ უკმაყოფილო

□ ძალიან უკმაყოფილო

□ მიჭირს პასუხის გაცემა

მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის!